პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

წელიწადი მესამე

# კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და [illegible] საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ჭოს ორგანო.

რედაქცია:
ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4,
მე-2 სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა—უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58

მთავარი კანტორა:
ტფილისი, თუმანიშვილის ქ. № 24
მე-2 სართული ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.125.000 მან. განცხადება 10 კაპ. 15 კ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 18 შაბათი 26 მაისი, 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 40,000 მან.

№ 18

Коллекция Кал. [illegible] Грузинской

## შღირი

საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე პუანკარე [illegible], რადგან საფრანგეთის უმაღლესმა სასამართლომ უარი განაცხადა კომუნისტ დეპუტატის კაშენის გასამართლებაზე.

საფრანგეთის პრესა დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამს ინგლისის ახალი პრემიერის დანიშვნის შესახებ, ხოლო უკმაყოფილებას გამოსთქვამს, რომ კერზონი ისევ რჩება მთავრობაში.

ლოიდ-ჯორჯი ოპოზიციაში ჩაუდგა ინგლისის ახალ მთავრობას.

საბერძნეთის სამხედრო გემები შევიდნენ დარდანელში; დასავლეთ ფრაკიაში ბერძნებმა გამოაცხადეს სამხედრო წესები.

# მენშევიკური პარტიის ნანგრევებზე

რუსეთის ესერების პარტიის გარდა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიტიკური პარტიების ისტორიას არ ახსოვს ისეთი რღვევის, დაქუცმაცების, გაცამტვერების, დემორალიზაციის მაგალითი, რომელსაც შეესწრო საქართველოს სოციალ-დემოკრატია.

ჩვენი ქვეყნის მუშებმა და გლეხებმა მასიურათ და ხელაღებით ზურგი აქციეს რევოლიუციონური მუშებისა და გლეხების ამწიოკებლებს, მეზობელ ერების მტრებს, შინაური ბურჟუაზიის ლაქიებს და უცხოეთის იმპერიალისტების აგენტებს. გარბიან ამ პარტიიდან მუშები, გლეხები, ინტელიგენტები, ძველი და უძველესი მისი წევრები, გარბიან და წყევლა-კრულვას, მუქარას უგზავნიან მათ, ვინც ათეული წლების განმავლობაში შეჰბოჭა რევოლიუციონური, ჭეშმარიტათ სოციალისტური შემეცნება ჩვენი მშრომელების და რომლებიც ერთა შუღლის გასაღრმავებლათ, ერთა შორის ომების ცეცხლის გასაჩაღებლათ, შინაურ და გარეშე მყვლეფლების ბატონობის განსამტკიცებლათ სარგებლობდნენ მოტყუებული მუშებისა და გლეხების ნდობით.

ჩაქოლილი, ტალახში ჩაჭყლეტილი, პოლიტიკურ-ორგანიზაციულ არარაობათ ქცეული ყოფილი პარტიის ხელმძღვანელი ერთეულები, რომლებიც კიდევ დარჩენილან, რომლებიც კიდევ „ცენტრალურ კომიტეტათ" თავს ასაღებენ, გამოსულან დღეს და „სულტებათა და ლაჩრებათ" ნათლავენ ყველა იმ პატიოსან მშრომელებს, რომლებმაც ისტორიის სანაგვეში გადაუძახეს მენშევიკური პარტია. ეს ცენტრალური არარაობა გამოდის დღეს კბილის ღრჭენით, პირზე დორბლმოყრილი, გიჟებითა და უძლური მუქარით ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც საკმაოთ კბილი გაუსინჯა მენშევიკებს, მჭრელი თვალითა და ბასრი გონებით ჩაწვდა მათი მოღალატური, გამცემლი ბუნების სიღრმეში და იქ ამოიკითხა ღალატი რევოლიუციის, დაღუპვა მშრომელების. აი სწორეთ მათ, ვინც შეგნებით თუ საღი კლასიური ინსტიქტით სწყვეტს სამუდამოთ კავშირს ამ პარტიასთან, ყველა ამ მუშებს და ღარიბ გლეხებს მენშევიკების ეგრედ წოდებული „ცენტრალური კომიტეტი" ნათლავს „მოღალატეების" სახელით. მაგრამ ვინ არ იცის, რომ მოღალატეები მოღალატეების არის მეგობრები და მუშაკები რევოლიუციის, მებრძოლები მშრომელთა საბოლოო განთავისუფლების, გმირები კომუნისტური მშენებლობის. მენშევიკურმა „ცენტრალურმა კომიტეტმა" თავისი საკუთარი ენით აღიარა ის, რაც აღარავისათვის საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს. მან სთქვა, რომ ყოფილი პარტია წარმოადგენს დღეს უსულო მძორს. აქ ტყუილია კბილთა ღრჭენა, ამაო ლანძღვა და უძლური მუქარა.

საქართველოს მუშები და გლეხები, რომლებმაც სწორათ დააფასეს მენშევიზმი წარსულში, მისი როლი დღეს, სოციალისტური რევოლიუციის ხანაში, და გარკვეული პრაქტიკული დასკვნა გამოიყვანეს ამ დაფასებიდან, ხელი-ხელ ჩაკიდებული დანარჩენ მშრომლებთან ერთათ გასწევენ ახალი გზით, მენშევიკური პარტიის ნანგრევებზე გადავლით, კომუნისტური საზოგადოებისკენ საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის ხელმძღვანელობით. ამაში გვარწმუნებს ჩვენ ის საერთო აღფრთოვანება და აქტივობა, რომელსაც იჩენს საქართველოს მუშები და გლეხები ქვეყნის აღმშენებლობითი მუშაობის ყველა დარგებში, ამაზე მოწმობს ის ერთსულოვანება, რომლითაც ისინი შეესიე მშრომელთა ახალი სამშობლოს ამაღორძინებელ მუშაობას.

# მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

რაიმონდ პუანკარე უკიდურესი გამოხატულებაა მსოფლიო რეაქციის. რურის ავანტიურის ავტორი სიმბოლოა მუდმივი ომის, სისხლის ღვრის. პუანკარეს და მის მომავლინებელ ერთი მუჭა შაიკის—პარიზის პარაზიტების და ბანკირების მიზანს შეადგენს გაძვალტყავება და სრული განადგურება გერმანიის, დაუძლურება და თუ შეიძლება მოსპობა საბჭოთა ფედერაციის, იმპერიალისტურ საფრანგეთის გახდომა განუზიარებელ ბატონად და ჰეგემონად ევროპის კონტინენტზე.

მაგრამ ერთია განზრახვა და მეორე მისი განხორციელება ცხოვრებაში.

ცდა საბჭოთა რუსეთის ინტერვენციისა და გალაშქრება მის წინააღმდეგ სამარცხვინოდ დასრულდა პარიზის მთავრობისათვის; პუანკარეს უძლური საბჭო საზღვრებიდან ცხვირპირ გასწორებულ იქნენ დაბრუნებულნი წითელ არმიის ხიშტით.

უდიდესი მარცხი შეემთხვა პუანკარეს რურის ოლქშიც. რამდენიმე თვეა, რაც იქ ადგილი აქვს გაუგონარ ძალადობას და სიმხეცეს გერმანელ მოქალაქეთა და მუშების მიმართ. მაგრამ ვერავითარმა რეპრესიებმა ვერ გასჭრეს, და „ძლევამოსილმა" პუანკარემ ვერ შესძლო გერმანიის უიარაღო ხალხის და მუშათა კლასის გატეხა-დამორჩილება.

დღევანდელი რადიოც გადმოგვცემს ცნობას სისხლიანი აჯანყების შესახებ რურის ოლქში. გერმანიის მუშათა კლასს გადაწყვეტილი აქვს ბოლომდე შეებრძოლოს უცხოელ ოკუპანტებს.

პუანკარეს მილიტარისტული პოლიტიკა აღშფოთებას და წინააღმდეგობას იწვევს არა მარტო გერმანიაში და სხვა ქვეყნებში. უკმაყოფილება თანდათან იზრდება აგრეთვე საფრანგეთშიც, რომლის ხალხი მოწყურებულია მშვიდობიანობას და რომელსაც სრულებით არ სურს ითამაშოს გერმანიის და სხვა ხალხების ჯალათის როლი. შინაური მდგომარეობა საფრანგეთში გამწვავებულია, და პუანკარეს პოზიცია სრულებით არ არის ისე მტკიცე, როგორც ეს შეიძლება ეჩვენოს ვინმეს. ამას ადასტურებს დღევანდელი ცნობაც. პუანკარემ შეიტანა გადადგომის განცხადება. ამის უახლოესი მიზეზი ის არის, რომ უმაღლესმა სასამართლომ არ სცნო თავისი თავი უფლება მოსილად გაესამართლებია კომუნისტი-დეპუტატები—ამხ. კაშენი და სხვები. ეს ამხანაგები, რურში მოგზაურობის დროს, საჯაროდ კიცხავდნენ საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკას, მის ავანტიურისტულ მოქმედებას, რის გამო მთავრობამ მათ შესწამა სახელმწიფოებრივი ღალატი, დააპატიმრა ისინი და პასუხისგებაში მისცა. ამით მთავრობამ დაარღვია დეპუტატის იმუნიტეტი და სახელმწიფოს კონსტიტუცია. საფრანგეთის უმაღლესი სასამართლო, როცა უარს აცხადებს კომუნისტ-დეპუტატების გასამართლებაზე, ამით აღიარებს მთავრობის უკანონობას. თუ ასე, მოიქცა ეს სასამართლო, ეს არა იმიტომ რომ ის ექომაგება ჩვენს ამხანაგებს ან უმაღლეს კანონიერებას და სამართლიანობას იცავს. ეტყობა, საზოგადოებრივი აზრი ამხედრებულია პუანკარეს ავანტიურით, და სასამართლო იძულებულია ამას ანგარიში გაუწიოს. სასამართლოს საქციელი მაჩვენებელია საფრანგეთის საზოგადოების სულიერი განწყობილების.

მეორე მხრივ აღსანიშნავია, რომ პუანკარეს სასტიკი კრიტიკით პალატაში გამოვიდა სოციალისტი ორიოლი. მუშათა კლასში დღითი-დღე ძლიერდება რევოლიუციონური ტალღა, და ეს ძალაუნებურად გავლენას ახდენს მის ლიდერებზედაც.

პუანკარემ ჯერ ჯერობით უკან წაიღო თავისი გადადგომა, მაგრამ რაც უკვე მოხდა, თვალსაჩინოთ გვიუბნება, რომ მსოფლიო რეაქციის ტახტი საგრძნობლად შერყეულია, რომ პუანკარეს ბატონობას ეცლება ნიადაგი.

ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ვსთქვათ, რომ ეს პროცესი ჩქარი ტემპით წავა, და საფრანგეთის ამხედრებული ხალხი დღეს თუ ხვალ ბოლოს მოუღებს ომის და სისხლის ღვრის მოციქულს—პუანკარეს და მის მთავრობას.

# ნაციონალური საკითხი აჭარისტანში

### (მუშაობა კულტურულ ფრონტზე)

### II

1922 წ. ნოემბერში და 1923 წ. იანვარში მომხდარ აჭარისტანის საბჭოთა მე-2 და მე-3 ყრილობაზე ნაციონალური და განსაკუთრებით განათლება კულტურის საკითხებმა დიდი კამათი გამოიწვია და მუშა-დელეგატების მიერ იყო აღნიშნული დეტალურად მთელი რიგი დეფექტებისა, რომლების გასწორება მოითხოვა მთელმა ყრილობამ. დიდი საყვედურები გამოითქვა. გლეხი დელეგატები ამბობდენ: „მიწა, გზა და შესაფერი სკოლა"-ო. კრების მიერ მიღებული რეზოლიუციის უმთავრესი შინაარსი იყო განათლების და კულტურის საკითხების მოწესრიგება, სათანადო მუშაობის გაძლიერება ადგილობრივ პირობებთან შეთანხმებით.

აჭარისტანის განათლების სახ. კომისარი შეუდგა ამ წლის დასაწყისიდან დეფექტების შესწორებას ახლად მიღებულ კულტურული ხაზის მიხედვით. პირველად მან დაიწყო აჭარის სკოლებისათვის შესაფერი წიგნების დამზადება: „დედა-ენა, როგორც თურქულ, ისე ქართულ ენაზე. თურქული წიგნი უკვე დაბეჭდილია და დარიგებული სკოლებში და ქართული დედა-ენა კი, რომელშიც მცირეოდენი შესწორებებია შეტანილი, იქნება დაბეჭდილი და დარიგებული. დარიგებული თურქული დედა-ენა დიდათ განსხვავდება ნაციონალისტურათ შედგენილი სხვა თურქულ დედა-ენებიდან. ეს ახალი წიგნი სრულიად შეეფერება აჭარის ყოფა-ცხოვრების და საერთოდ ინტერნაციონალისტური სოციალისტური ხასიათი აქვს. მოთავსებულია შიგ მარქსის, ლენინის და სხვ. სურათები. ძველი თურქული ნაციონალური დედა-ენის მაგივრად აჭარაში ასეთი წიგნის შემოღება დიდათ სასიამოვნოთ დარჩათ.

სამწუხაროდ ასეთი კულტურული წიგნების დამზადებისათვის საჭირო საშუალებას მოკლებულია აჭარისტანის სახ განათლების კომისარიატი. იანვრის კვარტალის ბიუჯეტში შეტანილი თანხა, ასეთი გამომცემლობისათვის გამოთხოვილი, ამორიცხული იქნა იმ მოტივით, რომ საქართველოს განათლების საკომისარიატოს მიეცემა სათანადო თანხა საერთო გამომცემლობისათვის. ასევე 1921 და 1922 წ.წ. განათლების კომისარიატი აჭარისტანში მოკლებული იყო ტეხნიკურ-ფინანსიურ საშუალებებს. უსახსრობას, რასაკვირველია ცენტრიც განიცდის, მაგრამ ჩვენ ვლაპარაკობთ ჩვენ ადგილობრივ ტკივილებზე.

ერთი სიტყვით ეს არ არის უბრალო საკითხი და საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს სპეციალური სახელმძღვანელოების გამოცემას, რისთვისაც ცენტრი ვალდებულია მისცეს აჭარისტანს ფინანსიური დ ტეხნიკური საშუალება, რათა მან მომავალში მაინც მიაღწიოს მიზანს. სრულიად მართალი იყო ის აჭარელი, რომელიც გამოვიდა ერთ დიდ მიტინგზე ქედაში და სხვათა შორის უთხრა ერთ ჩვენ პასუხისმგებელ ამხანაგს: „აჭარისტანში მუდამ ლაპარაკია და საქმე კი ცოტაა. ჩვენ გაგვიხსენით სკოლა მაშინ, როდესაც დაამზადებთ შესაფერ წიგნებს"-ო. ამ სიტყვებს უნდა მივაქციოთ ყურადღება.

ამასთან ერთად მე უნდა შევეხო ენას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებამდის იდგა დიდ სადაო საკითხათ სწავლა-განათლების ასპარეზზე.

ქართულ-ნაციონალისტურ სკოლებში სწავლა მხოლოდ ქართულ ენაზე იყო და თურქულ ნაციონალურ სკოლებში კი—თურქულათ. საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ, იმ საკითხის გამორკვევას, თუ რომელ ენაზე უნდა ხდებოდეს სწავლა-განათლება ადგილი არ ჰქონია, მხოლოდ იყო საკითხი თუ რანაირ პრინციპზე დავაყენოთ სწავლა-განათლება და რანაირად შევუფარდოთ კულტურა ადგილობრივ პირობებს. საერთოდ ამ დარგში საბჭოთა ინსტრუქციები სჭრიდენ საკითხს, მხოლოდ პირველ წლებში ჩვენ ვერ გაუწიეთ ანგარიში ადგილობრივ პირობებს და ამიტომ ამ დარგში მუშაობა შეფერხებული დარჩა. ენის საკითხი კი სამწუხაროდ ცოტაოდენ გაუგებარ საკითხათ დარჩა. ზემო აღნიშნულ მიტინგზე ერთი გლეხი ამბობდა: „თურქულ ენაზე მიიღებენ ჩვენი ბავშვები სწავლა-განათლებას თუ ქართულ ენაზე, ეს ჩვენ არ გვაწუხებს, მხოლოდ ჩვენ გვაინტერესებს ის, თუ რანაირი წიგნებია გამოცემული და რამდენათ შეეფერებიან მოთხოვნილებას. ამხანაგებო, ხომ ხედავთ, რომ მე ვლაპარაკობ ქართულათ. ჩვენ აჭარლებს უფრო ქართული ენა გვეხერხება და ამიტომ სიცრუე იქნებოდა ის, თითქოს ჩვენ წინააღმდეგი ვიყოთ ქართული ენისა სკოლებში. მართალია, როდესაც ჩვენ ვიყავით ნაციონალისტური ზეგავლენის ქვეშ, ჩვენ ვიყავით წინააღმდეგი და ვიქნებით კიდევაც, მაგრამ რადგანაც ეხლა ბოლშევიკობაა, და ნაციონალისტურ ძალადატანებას ადგილი აღარ აქვს, წიგნები უნდა შეეფარდოს და შეუსწორდეს ჩვენი ცხოვრების პირობებს და მასწავლებლებმა კი უნდა იცოდენ ჩვენი განსხვავებული ზნე-ჩვეულებანი და ცხოვრება".

ამ უბრალო გლეხურ სიტყვებს ღრმა შინაარსი აქვს: აჭარლების დედა-ენა არის ქართული ენა და ლაპარაკობენ კიდეც ამ ენაზე, სარწმუნოებრივი ენა კი არაბულია. რაც შეეხება თურქულს, თითქმის ყველამ იცის და ლაპარაკობენ ამ ენაზე, რომელიც შემოღებულია ისტორიის სხვადასხვა პირობებით და დღეს აჭარელის რეალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში წარმოადგენს საჭიროებას. როგორც მისთვის საჭიროა ქართული ენა, აგრეთვე საჭიროებას წარმოადგენს თურქული და რუსული ენები—აჭარაში, ქობულეთში, ბათომში, ახალციხეში, არტაანში, შავშეთში, ართვინში—ასეთია აჭარელის გეოგრაფიული და ისტორიული პირობები, ამიტომ თუ ჩვენ დეფექტებს შევასწორებთ, რასაკვირველია სწავლა განათლებისათვის გამოსადეგია ის ენა, რომელიც არის მისი დედა-ენა და ეს კი არის ქართული ენა.

მასწავლებლების საქმეც ისე დაბნეული იყო აჭარისტანში, როგორც წიგნების. უმრავლესობა ქართულ მასწავლებლებისა იყვენ ნაციონალისტები და თურქული მასწავლებლების უმრავლესობას კი წარმოადგენდენ მოლები ან კიდევ ნაციონალისტები. განა შეიძლებოდა აჭარისტანში განათლების და კულტურის საქმის ამ ნაციონალისტების და მოლების ხელში ჩაგდება? მართალია, ჩვენ მოკლებული ვიყავით განათლების და განსაკუთრებით კულტურულ განათლების დარგში კომუნისტ—მასწავლებლებს, მაგრამ ერთი რამ კი შეგვეძლო გვექეთებია, ამ მხრივ—ეს წერა-კითხვის მცოდნე აჭარელ ახალგაზრდობის მასწავლებლებათ მომზადება და გაგზავნა აჭარისტანის სკოლებში. ამ მიმართულებით კი არაფერი გაკეთებულა. არც აჭარისტანის, არც საქართველოს ცენტრალური მთავრობები არავითარ ზომებს არ იღებდნენ—ამ მხრივ.

ნურავის დაურჩება საწყენათ ამ ჩემი წერილების შინაარსი, მე არა მაქვს სახეში ვინმეს ვაწყენინო.—მე მხოლოდ ამ დაჩაგრულ მხარეში, საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ დაშვებულ შეცდომების გასწორებაზე და საერთოდ მომავალისათვის საბჭოთა ხელისუფლებისა განმტკიცებაზე ვფიქრობ.

აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარი განსაკუთრებული ყურადღებას აქცევს მასწავლებლებს. მოახდინა შტატების განხილვა და შესწორება, გადაჯგუფება, გაწმენდა და სხვა. ივნისში გაიხსნება ქალ. ბათომში პედაგოგიური კურსები და ყველა მასწავლებლებს ევალება სამი თვე დასწრება.—ამ კურსებზე, შემდეგ ენკენისთვისათვის განზრახულია ბათომში სემინარიის დაარსება.

აჭარის სკოლებისათვის არის შემუშავებული განსაკუთრებული გეგმა, წესების ადგილობრივი პირობების მიხედვით გახსნილია 2 ახალი სკოლა. ქობულეთის და 4 სხვა მაზრებში. ასე რომ ამ ჟამათ აჭარისტანში არის 48 სკოლა. ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მცხოვრებლებზე, რომლებიც სიამოვნებით გზავნიან ბავშვებს სკოლებში და თხოულობენ ასეთების გახსნას, მაგალითად, ანგიას სკოლაში 30 მოწაფე იყო—ეხლა 75 არის, და აგარას სკოლაში 12-დან—35.

იმ სკოლებიდან, რომელიც მეჩეთების გვერდშია და სასულიერო ტიპის არიან, სადაც სწავლას მოლები განაგებენ, უკვე საყურადღებო „ემიგრაცია" დაიწყო საბჭოთა შრომის სკოლებისაკენ და ეს მოვლენა გასაგებია იმათთვის, ვინც გაცნობილია ნაციონალისტობისა და ფანატიკოსობის შორის დამოკიდებულებას.

ის აჭარლები, რომლებიც წინედ წინააღმდეგი იყვენ სკოლების დაარსებისა, არ გზავნიდენ თავიანთი შვილებს რუსულ, ქართულ, თურქულ ნაციონალისტურ სკოლებში და [illegible] თოფით იცავდენ თავის თავს. საბჭოთა სკოლების დაარსებისთანავე, განსაკუთრებით, ამ ბოლო ხანებში თხოვნით მოგვმართავენ, რომ რაც შეიძლება მეტი სკოლები შექმნათ. ასეთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ჩვენ დღეს-დღეობით ერთბაშათ ვერ შევძლებთ და თუ შემდეგშიაც მოკლებული დავრჩით ფინანსიურ საშუალებებს, შესაძლებელია მომავალში საყვედურებიც დაიმსახუროთ.

აჭარისტანში ითვლება სულ 300 სოფელი და მარტო 48 სოფელში არის სკოლა, დანარჩენი სოფლები უსკოლოთ რჩება. აჭარლების 99 პროც. არ იცის წერა-კითხვა. იქ, სადაც 2 წელიწადზე მეტია არსებობს საბჭოთა ხელისუფლება ეს უნდა ჩაითვალოს დიდ დეფექტათ. აჭარისტანის პოლიტგანათლების სამმართველო ვერ იდგა თავის სიმაღლეზე და არც ეხლა არის უკეთესათ საქმე ამ მხრივ. ის მუშაობდა მხოლოდ ბათომის და არა აჭარისტანის მასშტაბში. საბჭოთა მე-3 ყრილობის შემდეგ ე. ი. 1923 წ. პირველი თვეებიდან დაიწყო აჭარისტანის მასშტაბში მუშაობა, მაგრამ ამ წერილში არ არის მოსაყვანი ამ მუშაობის შედეგები, რადგან ძლიერ უმნიშვნელო და მცირეა ისინი. აჭარისტანის ხუთ მაზრაში გახსნილია 5 კლუბი რომლებიც მოკლებულია ლექციებს, წარმოდგენებს და ლიტერატურას და სხვა არაფერი. შარშან შექმნილი პროექტორის ერთი აპარატი გადასცა სახკომსაბჭომ განათლების კომისარიატს აჭარაში ავტომატიური კინემატოგრაფიული სურათების მოსაწყობათ და პოლიტგანის უმთავრესი მუშაობა უნდა მიმართული იყოს უცოდინარობის ლიკვიდაციისკენ—აპრილის კვარტალში განათლების კომისარიატის ხარჯთაღრიცხვაში შეტანილია სათანადო თანხა და თუ ის იქნა მოცემული, განზრახულია სკოლების გახსნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ. სწავლა-განათლების დარგში გადადგმული ნაბიჯები ნაყოფიერ შედეგებს იძლევა და განსაკუთრებით კულტურული ხაზი რამდენადაც ის შეფარდებულია ადგილობრივ პირობებთან.

აჭარელ [illegible] მოღვაწეობა საბჭოთა დაწესებულებებში საბჭოთა აღმშენებლობის მუშაკებთან ერთად, არტელებში, ქარხნებში და სხვ. და საერთოდ ხელს უწყობს გლეხებისა და მუშების შეკავშირებას, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის და აჭარისტანის შორის მჭიდრო კავშირის განმტკიცებას.

ი. ხიმშიაშვილი.

# მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

## პუანკარეს გადადგომა

ლონდონი. 25 მაისი. პუანკარე გადადგა. ჯერ-ჯერობით, სენატის სხდომის მოწვევამდი, მისი გადადგომა არ არის მიღებული. გადადგომა გამოწვეულია იმით, რომ უმაღლესმა სასამართლომ უარი განაცხადა კაშენის და სხვა კომუნისტების გასამართლებაზე, რადგან სასამართლოს განცხადებით ეს მის კომპეტენციაში არ შედის. აღნიშნული კომუნისტები პასუხისგებაში არიან მიცემული რურში მგზავრობის დროს საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ სიტყვების წარმოთქმისათვის.

## პუანკარე დამარცხდა

ლონდონი. 25 მაისი. დეპუტატთა პალატაში დღისით პუანკარემ წარმოსთქვა დიდი სიტყვა, რომელშიც დაახასიათა მთავრობის პოლიტიკა რურში. პუანკარეს სიტყვა მოულოდნელი იყო და გამოიწვია სოციალისტ ვინცენტ ორიოლის საუცხოვო თავდასხმა მთავრობაზე. ორიოლმა სასტიკად გააკრიტიკა მთავრობის მილიტარისტული პოლიტიკა და არ ერიდებოდა შესაფერ ეპიტეტებს.

ორიოლმა სთქვა: „საფრანგეთის ხალხს სურს ზავი, მაგრამ „ზავი" ჩვენს პირობებში ცარიელი სიტყვაა. როგორი მიმოხილვაც არ უნდა გააკეთოს პუანკარემ, მე ვიმეორებ, ზავის შესახებ ლაპარაკი ცარიელი სიტყვებია. ყოველგვარი წმინდა მოვალეობა დავიწყებულია, ყველა მთავრობები გულგრილათ უყურებენ ამას".

შემდეგ ორიოლმა განაცხადა, რომ რურის ოკუპაცია დაიწყო უმნიშვნელო მიზეზით, ვითომდა გერმანელებს წესიერათ არ შეჰქონდათ თავიანთი გადასახადები, პუანკარემ კი პარიზის კონფერენციაზე არც კი მოუსმინა გერმანელებს

## პუანკარეს გადადგომა ჯერ არ მიუღიათ

პარიზი. 25 მაისი. პრეზიდენტმა მილიერანმა უარი განაცხადა პუანკარეს გადადგომის მიღებაზე.

## დეპუტატთა პალატის გაშვება

პარიზი. 25 მაისი. გაზეთ „ფიგაროს" ცნობით, მთავრობამ გადასწყვიტა გაუშვას დეპუტატთა პალატა.

## როგორ შეიტანა პუანკარემ გადადგომის ქაღალდი

პარიზი. 25 მაისი. როგორც კი ცნობილი იქნა უმაღლეს სასამართლოს გადაწყვეტილება და მთავრობის გენერალურ პროკურორის ხოლრის დადგენილება გადაეცა, პუანკარემ გადადგომის ქაღალდი შეიტანა. პრეზიდენტმა მილიერანმა უხერხულად სცნო კაბინეტის გადადგომა, რის გამო პუანკარემ გადადგომის საკითხი უკანვე წაიღო. შესაძლებელია სენატში შემდეგი კამათის დროს დასმულ იქნეს პუანკარესათვის ნდობის გამოცხადების საკითხი.

## პუანკარე „ცოტათი" შეცდა.

ბერლინი, 25 მაისი. საფრანგეთის მრეწველთა ჟურნალი „იუზინი" სწერს, რომ პუანკარეს განცხადება იმის შესახებ, რომ ნახშირის საკითხი საფრანგეთში მაისში აპრილთან შედარებით გაუმჯობესდა—მართალი არ არის. თავის განცხადებას მრეწველთა ორგანო ასაბუთებს მთელი რიგი ციფრებით, რომელნიც ამტკიცებენ ნახშირის ამოღების დაკლებას და ღუმელების მუშაობის შეჩერებას.

# აჯანყება რურის ოლქში

## ბრძოლა გილზენკირხენის ქუჩებში

პარიზი. 25 მაისი. გილზენკირხენის ქუჩებში განახლდა შეტაკებები მუშებსა და პოლიციას შორის. მუშები აიძულებენ ვაჭრებს დაუკლონ საქონლის ფასებს. მუშები შეეცადენ დაეტუსაღებიათ ბურჟუაზიული პარტიის წევრები, რომლებიც ხელს უწყობდენ პოლიციას, განზრახულია პროფკავშირების საშუალებით მუშათა თავდაცვის რაზმების მოწყობა.

## დორტმუნდის რაიონში

პარიზი. 25 მაისი. ვინაიდან განზრახულია საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება დორტმუნდში და ახლო მდებარე რაიონებში, იქ იფეთქა აჯანყებამ. დორტმუნდის საავადმყოფოებში მიიყვანეს პოლიციასთან შეტაკების დროს დაჭრილი 35 კაცი, ამათგან 28 მძიმეთ არის დაჭრილი.

## „ტანი" გამოსვლების შესახებ

პარიზი. 25 მაისი. ეხება რა რურში მომხდარ გამოსვლებს, „ტანი" უარყოფს გერმანიის პრესის განცხადებას, რომ პასუხისმგებლობა აწევბა საფრანგეთის მთავრობას. არკვევს რა აჯანყების მიზეზებს, „ტანი" ამის ერთ ერთ მთავარ მიზეზათ თვლის მარკის კურსის საშინლად დაცემას, რასაც მოყვა საქონელზე ფასების ზრდა.

## მშვიდობიან მცხოვრებთა დაცვა

პარიზი. 25 მაისი. გილზენკირხენში მშვიდობიან მცხოვრებთა დასაცავად პროფკავშირებმა მოაწყვეს სპეციალური კომისია.

## დაწვრილებითი ცნობები

ბერლინი. 25 მაისი. ოთხშაბათს მთელი დღის განმავლობაში გილზენკირხენი მუშებს ეჭირათ. აჯანყებულებმა დასწვეს პოლიციის სამმართველო. პოლიციასთან შეტაკების დროს დაიჭრა 61 კაცი და მოკლულია 5. აჯანყება გამოიწვია პირველ მოთხოვნილების საგნების სიძვირემ და დაიწყო საყოველთაო გაფიცვის ლოზუნგით.

# ვინღა დარჩა მენშევიკურ პარტიაში

## ტრამვაის მუშებისაგან

გთხოვთ მოათავსოთ თქვენ გაზეთში შემდეგი.

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, ტრამვაის მუშები, წევრნი მენშევიკური პარტიისა, ვაცხადებთ ყველას საყურადღებოთ, რომ დღეიდან ჩვენ ვტოვებთ ამ პარტიას, რადგანაც შევიგნეთ, რომ ის არის კონტრ-რევოლიუციონური, და შეყავს მშრომელი ხალხი შეცდომაში.

საქართველოში მენშევიკური პარტიის არსებობამ ჩვენ ღრმად დაგვარწმუნა მათ შოვინისტურ პოლიტიკაში, რომლითაც ანადგურებდნენ ამიერ-კავკასიის მშრომელ ხალხს.

დღეს ამიერ-კავკასიის მშრომელ ხალხს, როგორც ერთ შეერთებულ ოჯახს, ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია და ამ გზით ებრძვის საერთაშორისო კაპიტალიზმს. ვტოვებთ რა ერთხელ და სამუდამოთ მენშევიკურ პარტიას ფიცსა ვსდებთ, ვიბრძოლოდ კომუნისტურ პარტიასთან ერთად.

ამასთანავე მოვუწოდებთ იმ მუშებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ მენშევიკების კონტრ-რევოლიუციონერობა, დასტოვონ ეს პარტია და დარწმუნდნენ, რომ ერთად ერთი ჭეშმარიტი ხელმძღვანელი მუშათა კლასისა არის მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტური პარტია, რომელიც ერთგულად სდგას მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე.

**გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა სოლიდარობას!**

**მუშებო, ყველა კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ტოკაშვილი, გ. | სტაჟი | 1917 | წ. |
| 2. ლიტანოვი, ნიკ. | „ | „ | |
| 3. პროკოპოვი, ალ. | „ | 1918 | წ. |
| 4. გძელიძე, კონსტ. | „ | 1920 | წ. |
| 5. რაზმაძე, ივანე | „ | 1918 | წ. |
| 6. ზედგენიძე ანდრეი | „ | 1917 | წ. |
| 7. ხუბაშვილი, ნიკ. | „ | 1917 | წ. |
| 8. კაპანაძე, ვლად | „ | 1904 | წ. |
| 9. მჭედლიშვილი, ალ. | „ | 1905 | წ. |
| 10. ზურაბაშვილი, ი. | „ | 1906 | წ. |
| 11. მარკაროვი, მარ. | „ | 1906 | წ. |
| 12. მესხიშვილი [illegible] | „ | 1903 | წ. |
| 13. ავთანდილოვი, ვანო | | 1920 | „ |
| 14. მრულიშვილი, გიგო | „ | 1903 | „ |
| 15. ნადირაძე, ანტონი | „ | 1901 | „ |
| 16. ხოდელიძე, გიორგი | „ | 1919 | „ |
| 17. კუჩიტაშვილი, ანდრო | „ | 1903 | „ |
| 18. ნარიკაშვილი, დავითი | „ | 1908 | „ |
| 19. გუჩმაზაშვილი, ნიკ. | „ | 1892 | „ |
| 20. იანკოშვილი, ვასილი | „ | 1906 | „ |
| 21. კუბანეიშვილი, ექ. | „ | 1905 | „ |
| 22. ღრუბელაშვილი, ალ. | „ | 1918 | „ |
| 23. სებისკვერიძე, ალექ. | „ | 1917 | „ |
| 24. ჯაგირაშვილი, მიხ. | „ | 1917 | „ |
| 25. ფრანგიშვილი, კალ. | „ | 1916 | „ |
| 26. ანთაძე, გრიგორი | „ | 1917 | „ |
| 27. ჩხიკვიშვილი, ევტ. | „ | 1917 | „ |
| 28 ქიტუაშვილი, ალექ. | „ | 1916 | „ |
| 29. სოსანაშვილი, სიმონი | „ | 1919 | „ |
| 30. თედეშვილი, შაქრო | „ | 1903 | „ |
| 31. ბაქრაძე ივანე | „ | 1917 | „ |
| 32. ნატრიაშვილი, ესტ. | „ | 1917 | „ |
| 33. ქაცარავა, მიხეილი | „ | 1917 | „ |
| 34. ქურციკიძე, ილია | „ | 1903 | „ |
| 35. კვირკველია, ილია | „ | 1905 | „ |
| 36. კენკიშვილი, ილიკო | „ | 1905 | „ |
| 37. ჩიხრაძე, ერმალო | „ | 1917 | „ |
| 38. ნადირაძე, გიორგი | „ | 1902 | „ |
| 39. გამრეკელაშვილი, იოს. | „ | 1918 | „ |
| 40. სირაძე, სამსონი | „ | 1917 | „ |
| 41. ცოტაძე პავლე | „ | 1917 | „ |
| 42. გოჩავა იოსები | „ | 1917 | „ |
| 43. კიკნაველიძე ზაქარია | „ | 1917 | „ |
| 44. ქებაძე კონსტანტინე | „ | 1918 | „ |
| 45. გორდეზიანი ვლად. | „ | 1906 | „ |
| 46. მაჭურაშვილი დავითი | „ | 1917 | „ |
| 47. ჯაგირაშვილი ზაქ. | „ | 1917 | „ |
| 48. გიგუაშვილი ალ. | „ | 1919 | „ |
| 49. ნებიერიძე გიორგი | „ | 1918 | „ |
| 50. შავერდოვი დავით | „ | 1918 | „ |
| 51. ვაშაკიძე კონსტანტ. | „ | 1917 | „ |
| 52. მახარაძე აქსენტი | „ | 1918 | „ |
| 53. მეზურნოვი ეგორი | „ | 1917 | „ |
| 54. ბუზალაძე ივანე | „ | 1917 | „ |
| 55. მიქავტაძე მიხეილი | „ | 1920 | „ |
| 56. ცხოვრებოვი ვასილი | „ | 1917 | „ |
| 57. ახვლედიანი ლევანი | „ | 1914 | „ |
| 58. თედეშვილი სპირიდ. | „ | 1899 | „ |
| 59. მიზრაშვილი იოსები | „ | 1890 | „ |
| 60. ამბროლაძე ბიქტორი | „ | 1917 | „ |
| 61. ტურმანიძე ონისიმე | „ | 1917 | „ |
| 62. კაჩარავა, მიხეილ | „ | 1920 | წ. |
| 63. გიგოლაშვილი ხ. | „ | 1918 | წ. |
| 64. აკოპაშვილი ალექ. | „ | 1905 | წ. |
| 65. პირი-შამილ-ოღლი | „ | 1918 | წ. |
| 66. ქიტუაშვილი ხრისტ. | „ | 1918 | წ. |
| 67. მაგამედ იულჩი ოღლი | „ | 1917 | წ. |
| 68. კოვალავა ვლადიმერ | „ | 1914 | წ. |
| 69. ლომიძე გიორგი | „ | 1918 | წ. |
| 70. ციცხვაია ესტატე | „ | 1917 | წ. |
| 71. კაპანაძე დავითი | „ | 1915 | წ. |
| 72. თურქია ევგრაფი | „ | 1917 | წ. |
| 73. მურუსიძე გალაქტ. | „ | 1917 | „ |
| 74. რუსიშვილი მიხაილი | „ | 1917 | „ |
| 75. დავითაშვილი ალექ | „ | 1906 | „ |
| 76. მინდიაშვილი გიორ. | „ | 1901 | „ |
| 77. ჩოჩელია გიორგი | „ | 1917 | „ |
| 78. კაპანაძე ვლადიმირი | „ | 1902 | „ |
| 79. ხუციევ ბაგდა | „ | 1905 | „ |
| 80. ხოდჯაევი იაკოფი | „ | 1917 | „ |
| 81. ხარხელაური დავითი | „ | 1900 | „ |
| 82. ბებიაშვილი სიმონი | „ | 1917 | „ |
| 83. ჭავჭავაძე სანდრო | „ | 1904 | „ |
| 84. ბაბუციძე ივანე | „ | 1903 | „ |
| 85 გოზალოვი ალექსან | „ | 1903 | „ |
| 86. ბერიანიძე ივანე | „ | 1892 | „ |
| 87. ჯავახიშვილი ტიტ. | „ | 1899 | „ |
| 88. ღევზაძე ანტონი | „ | 1917 | „ |
| 89. ალკანურაშვილი ილია | „ | 1917 | „ |
| 90. ჩანკოტაძე შაქრო | „ | 1903 | „ |
| 91. ფერიაშვილი გაბო | „ | 1918 | „ |
| 92. ტერ-არუთინოვ აიკ | „ | 1919 | „ |

## ყოფილ „სახალხო გვარდიელებისაგან"

გთხოვთ დაბეჭდოთ გაზ. „კომუნისტში" ასეთი ჩვენი განცხადება:

ქალაქის ტრამვაის მუშები, ყოფილნი მენშევიკურ სახალხო გვარდიაში, ვაცხადებთ, რომ ჩვენ ძალით და შიშით ვიყავით ხსნებული გვარდიელები და ვერ ვხვდებოდით, რომ ჩვენ მივდიოდით ჩვენი ძმების, მუშების და გლეხების წინააღმდეგ.

ეხლა კი ჩვენ აშკარად დავინახეთ მენშევიკების სიცრუე და სიმდაბლე საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

ჩვენ დაზგაზე მომუშავე ტრამვაის მუშებმა ღრმად შევიგენით მენშევიკებისაგან მშრომელი კლასის გამყიდველობა და ამიტომ დღეს ვაცხადებთ საყოველთაოთ, რომ ჩვენ მზათა ვართ წრფელად და ერთგულად ვიმუშაოთ საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად მშრომელი კლასის საბოლოოთ განთავისუფლებისათვის.

**ძირს მენშევიკები, დაშნაკელები და მუსავატელები!**

**გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!**

**გაუმარჯოს მუშათა კლასის დიქტატურას!**

**გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!**

1. ტოკაშვილი გიორგი, 2. ლიტანოვი ნიკოლოზი, 3. კვირკველია ილ. 4. კენკიშვილი ნიკოლოზ, 5. ჩიხრაძე ერმალო, 6. ნადირაძე გიორგი, 7. გამრეკლაშვილი იოსები, 8. სირაძე სამსონ, 9. ცოტაძე პავლე, 10. ივანჩენკო ნიკოლოზი, 11. ლაჭავა იოსები, 12. ნარიკაშვილი დავით, 13. ბუაძე პორფილე, 14. გუჩმაზაშვილი ნიკოლოზი, 15. იანკოშვილი ვარლამ, 16. კუბანეშვილი ექვთიმე, 17. სებისკვერიძე ალექსანდრე, 18. ღრუბელაშვილი ალექსანდრე, 19 ჯაგირაშვილი მიხეილი, 20 ფრანგიშვილი კალისტრატე, 21. ანთაძე გრიგოლი, 22. ალავიძე ტარასი, 23. თედეშვილი შაქრო, 24. ბაქრაძე ივანე, 25. ნატრიაშვილი ესტატე, 26. გიორგაძე მოსე, 27. ქაცარავა მიხეილი, 28. კიკნაველიძე ზაქარია, 29. ქებაძე კონსტანტინე, 30 გორდეზიანი ვლადიმერი, 31. მაჭურაშვილი დავითი, 32. ჯავახიშვილი ზაქარია, 33. გიგუაშვილი ალექსანდრე, 34. ნებიერიძე გიორგი, 35. შავერდოვი დავითი, 36. ბუზალაძე ივანე, 37. მიქავტაძე მიხეილი, 38. ცხოვრებოვი ვასილი, 39. მჭედლიძე ყარამანი, 40. ახვლედიანი ლევანი, 41. ამბროლაძე ბიქტორი, 42. თურმანიძე ონისიმე, 43. ცხოვრებაძე იოსები, 44. გოგოლაშვილი ხვთისო, 45. აკოფაშვილი ალექსანდრე, 46. ფირი შამილ ოღლი, 47. ქიტუაშვილი ხრისტეფორე, 48. მაგომედ იულჩი ოღლი, 49. ცაგურია მიტროფანე, 50. კოვალავა ვლადიმერი, 51. ლომიძე გიორგი, 52. ციცხვაია ესტატე, 53. კაპანაძე დავითი, 54. კუპავა დომენტი, 55. თურქია ევგრაფი, 56. მურუსიძე გალაქტიონი, 57. ფერიაშვილი გაბო, 58. რუსიშვილი მიხეილი, 59. დავითაშვილი ალექსი, 60. მაზანაშვილი ზაქარია, 61. მინდიაშვილი გიორგი, 62. დონდუაშვილი არტემი, 63. კაპანაძე ვლადიმერი, 64. ჩოჩელია გიორგი, 65. ხუციევი ბაგდარ, 66. ხოდჯაევი იაკოფი, 67. აბაზაძე გიგო, 68. ჭავჭავაძე სანდრო, 69. ბაბუციძე ივანე, 70. ბერიანიძე ივანე, 71. ქორიძე სერგეი, 72. ჯავახიშვილი ტიტიკო, 73. პროკოფი ალექსანდრე, 74. გძელიძე კონსტანტინე, 75. ზედგენიძე ანდრეი, 76. ზურაბაშვილი ივანე, 77. მჭედლოვი ალექსანდრე, 78. ხუბაშვილი ნიკოლოზი, 79. მრულიშვილი გიგო, 80. ჩანკოტაძე შაქრო, 81. ტერ-არუთინოვ აიკ.

## გაზეთ კომუნისტის რედაქციას

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში ამ ჩვენს სრულიად გულწრფელ განცხადებას.

ჩვენ მენშევიკური პარტიის წევრები საქვეყნოთ, მთელი მუშისა და გლეხთა გასაგონათ ვაცხადებთ, რომ იმ დროს, როდესაც მთელი ქვეყნის რეაქცია იარაზმება პროლეტარიატისა და მისი მონაპოვარის წინააღმდეგ, იმ დროს, როდესაც ინგლისის მთავრობა ულტიმატუმს უყენებს საბჭოთა კავშირის ერთად ერთ სოციალისტურ ხელისუფლებას, რომელსაც სასოებით შესცქერის მთელი ქვეყნის პროლეტარიატი, იმ დროს როდესაც საბჭოთა წარმომადგენლებს ტყვიით უგმირავენ გულს ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნებში და ამავე ქვეყნების ციხეები აჭედილია პროლეტარიატის ნამდვილი წარმომადგენლებით—კომუნისტებით, როდესაც რურის მუშები ბურჟუაზიის რეაქციის მძიმე უღლის ქვეშ გულშემზარავათ გმინავენ—ჩვენი წმინდა ვალია გამოვეხმაუროთ ჩვენივე მოძმეთ და იარაღით ხელში ვიცავდეთ რევოლიუციის მონაპოვარს. ვისაც რევოლიუციის ნამდვილი გეზი აუღია ის კარგად მიხვდება თუ საით უნდა იყოს მიმართული ჩვენი გზა! ნუ დავივიწყებთ რომ ჩვენ მუშები ვართ და ვერავინ მოგვცემს ჩვენ თავისუფლებას. ვერც ღმერთი, ვერც მეფე და ვერც გმირი, ჩვენ ჩვენივე დაკოჟრებული ხელით უნდა გამოვჭედოთ ის. იმ დროს, როდესაც ფაშიზმი თავის დღესასწაულათ აცხადებს რომის დაარსების პირველ დღეს, ჩვენ უნდა დაუპირდაპიროთ მას ჩვენი მუშის დღესასწაული—პირველი მაისი. მაგრამ მენშევიკური პარტიის „ლიდერები" მოიქცნენ აგრე თუ არა? გავიხსენოთ გასული წლის 26 მაისის დღე, როდესაც ევროპის სახელმწიფოებმა იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა; ეს ხომ იმავე ფაშიზმისაგან ცნობაა. რაიცა სამარცხვინოთ უნდა ჩაითვალოს ნამდვილ რევოლიუციონერისაგან. როგორ ჩაატარა მენშევიკურმა პარტიამ ეს დღე საბჭოთა საქართველოში, რომელიც ნამდვილი გამომხატველია მუშისა და გლეხის ინტერესებისა და შეურყევლად სდგას რევოლიუციის სადარაჯოზედ, რომელიც ლომივით ეკვეთა ბურჟუაზიას და დასცა ის ძირს.

რომ დასცეს საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟი, მენშევიკები არ ერიდებიან არავითარ საშუალებას.

ჩვენ მუშები ვართ მოკლებული მეცნიერულ განათლება—განვითარებას და ამიტომაც ვერ შევუდგებით ფილოსოფიურათ იმის მტკიცებას, თუ რათა სჯობს პროლეტარიატის დიქტატურა და საბჭოები დემოკრატიულ რესპუბლიკას და დამ-

კომუნისტი

შაბათი 26 მაისი, 1923 წ. № 118

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუძნებელ კრებას, მხოლოდ მუშური ინსტინქტებით კი აშკარად ვხედავთ, რომ დღეს, რევოლიუციის ქარიშხალის დროს, ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია ბურჟუაზიასთან, საუკუნოებით ამ ჩვენ მოწინააღმდეგესთან, თანამშრომლობა და კარგად ვხედავთ, რომ თუ დემოკრატიზმზე დავიწყებთ ლაპარაკს, ყოვლად წარმოუდგენელია საბჭოებზედ უფრო დემოკრატიული ფორმა, რადგან მასში არ აქვს ადგილი არც თავად-აზნაურობას, არც სამღვდელოებას და არც ბურჟუაზიას, რომლებიც—ეს უდავო ჭეშმარიტებაა — არიან რეაქციის ბურჯნი. მაშ 26 მაისი მუშისა და გლეხის მიერ უნდა იქნას მიჩნეული სამარცხვინო დღეთ და თუ ამ დღეს გამოსვლაა საჭირო, მას უნდა მიეცეს ბურჟუაზიის საწინააღმდეგო ხასიათი ამ დღეს საქართველოს მუშებმა უნდა სთქვან ევროპის ბურჟუაზიის გასაგონათ: მუშა არ არის ჩვეული მოწყალებას ბურჟუაზიის ხელიდგან და არც დღეს მიიღებს მისგან გადმოყრილ საკენკს, გვეყო რაც გვატყვილეთ, მიიღეთ უკანვე თქვენი „მოწყალება“ ჩვენ ვიცით ვისაც უნდა ვენდოთ და კარგადაც ვიცნობთ ჩვენი ინტერესის დამცველთ—ეს იქნება მთელი ქვეყნის პროლეტარიატი და მისი მებაირაღტრე კომპარტია.

ამის შემდეგ ვწყვეტთ სამუდამოთ მენშევიკურ პარტიასთან ყოველგვარ კავშირს, გამოვდივართ ამ პარტიიდგან და ვეცდებით ხელი-ხელ ჩაკიდებული ვიმუშაოთ საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიასთან ერთად. მოვუწოდებთ ნამდვილ მუშასა და გლეხს მიბაძონ ჩვენს მაგალითს. ვიმედოვნებთ რომ მუშის ენას მუშა კარგად გაიგებს;

მაშ გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას, გაუმარჯოს მუშათა გაერთიანებულ ფრონტს, ძირს სამარცხვინო 26 მაისი, ძირს ბურჟუაზია და მათი დამქაშები, ძირს 2 და 2 ნახ. ყვითელი ინტერნაციონალი და მათი სულის ჩამდგმელი პარტიები!

1. გვარამია მელიტონ 1905 წ. მუშა, 2. შენგელია აპოლონ მიხეილის ძე 1917 წ. მოსამსახურე, 3. ლირიქვაძე პოლიკარპე ევსტ. 1905 წ., 4. ხურცია არტემ მათეს ძე 1917 წ. მუშა, 5. გაბუნია ბიკტორ მიხეილის ძე 1919 წ. მუშა, 6 კინწურაშვილი თომა პეტრეს ძე 1905 წელი მუშა,
7. შალამბერიძე ა. ბ. 1905 წ. მუშა.
8. ლალიაშვილი ვ. ე. 1918 წ. მუშა.
9. მეზურკე გ. ლუკას ძე 1914 წ. ინტ.
10. რუსია ალფესი ს. 1920 წ. მუშა.
11. ამაღლობელი ს. მ. 1917 წ მუშა.
12. ამაღლობელი გ. ს. 1717 წ. მუშა.
13. ტულუში მიხა ი. 1918 წ. მუშა.
14. ჯანელიძე პ. სპირ. 1917 წ. მუშა.
15. მახარაძე ავს. ა. 1900 წ მუშა.
16. სარაული ი. ს. 1920 წ. მუშა.
17. შოთაძე ირაკლი ი. 1917 წ. მუშა
18. ოზგელდოვი ნ. ს. 1918 წ. მუშა.
19. ლოლობერიძე დათიკო ნიკოლოზ. 1902-მდე. მუშა მწ. დონ-ღონი)
20. მაისურაძე მ. ა. 1905 წ. მუშა.
21. კოკიაშვილი ა. ზ. 1907 წ. მუშა.
22. ჯინგარიძე 1917 წელი მუშა.
23. კოხრეიძე მ. პ. 1901 წ. მუშა.
23. მჭედლიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე 1918 წ მუშა, 24. ფხაკაძე ვლადიმერ თედორეს ძე 1918 წ. მემანქანე, 25. შპიტიშვილი ალექსი ანდრიას ძე 1905 წ. მუშა, 26 გვანცაძე მიხეილ სიმონის ძე 1903 წ. მუშა, 27. ჯაში უშანგი სოფრომის ძე (იგივე ყარამანი) 1920 წ. მუშა, 28. ნაცვლიშვილი დავით თედორეს ძე 1900 წ. მუშა, 29. ქერქაშვილი იოსებ ისაკის ძე 1905 წ. მუშა, 30. კაკიანცი რუბენ ალექსის ძე 1904 წ. მუშა. 31. ნიქაბაძე ისაკ კირილეს ძე 1916 წ. ინტელიგენტი, 32. დუნდუა ალექსანდრე სილიბისტროს ძე 1902 წ. მუშა, 33. დოლიძე ლავრენტი გაბრიელის ძე 1916 წელი მუშა, 34. ოქროპირიძე გაბრიელ გრიგოლის ძე 1918 წელი აგრონომი, 35. მეტრეველი გიორგი 1901 წელი მუშა. 36. კაციტაძე ერმალოზ ანტონის ძე 1911 წ. ზეინკალი. 37. რობაქიძე ვიქტორ ნიკოლოზის ძე 1918 წ. მოანგარიშე. 38. სალარაძე პავლე გიგოს ძე 1919 წ. მუშა. 39. ერგემლიძე ნიკოლოზ ივანეს ძე 1917 წ. მუშა. 40. იმედაშვილი გრ. ალ. მუშა 1912 წ. 41. ოდიშელიძე ნიკოლოზ ზურაბის ძე 1908 წ. მუშა. 42. აფრიდონიძე ონისე იოსების ძე 1905 წ. მუშა. 43. პაპიძე დომენტი პეტრეს ძე 1908 წ. მუშა. 44. ლურსმანაშვილი ლევანტი პავლეს ძე 1916 წ. მუშა. 45. შათირიშვილი შალვა გიორგის ძე 1917 წ. კაჩეგარი. 46. მამულაშვილი დავით სიმონის ძე 1918 წ. მუშა. 47. რუსია კალისტრატე ფილიპეს ძე 1917 წ. მუშა. 48. კაჭახიძე გერმანე ნიკოს ძე 1903 წ. მუშა. 49. ლამბაშიძე დავით იოსების ძე 1918 წ. მუშა. 50. გოლეთიანი ონისიმე ოქროპირის ძე 1918 წ. მუშა. 51. ახვლედიანი კონსტანტინე ექვთიმეს ძე 1919 წ. ფერშალი. 52. კაკაბაძე ლავრენტი ალექსის ძე 1920 წ. ინტელიგენტი. 53. მეტრეველი სარდიონ ეფრემის ძე 1920 წ. ინტელიგენტი. 54. დიდებულიძე ბეჟან (იგივე ბესარიონ) პარმენის ძე 1920 წ. მუშა. 55. გოგიჩაშვილი ალექსი სოლომონის ძე. 1917 წ. მუშა. 56. კვინიკაძე პლატონ ერმილეს ძე 1900 წ. მუშა მემანქანე.

# ქალაქის წყალსადენის მუშებისაგან

ამხ. რედაქტორო! ძალიან გთხოვთ მოათავსოთ „კომუნისტში“ ეს განცხადება.

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერელნი, ქალაქის წყალსადენის მუშები, წევრები მენშევიკურ პარტიისა, ვაცხადებთ ყველას გასაგონათ, რომ დღეიდან ვსტოვებთ იმ ორგანიზაციას, რომელმაც ნამდვილათ დაამტკიცა მენშევიკთა კონტრ-რევოლიუციონერობა და რომელსაც მუშათა კლასი მიჰყავდა მოტყუებით მის მტერ ბურჟუაზიულ კლასთან შესათანხმებლათ. მენშევიკები თავიანთ ზეცი პოლიტიკით შიაქანებდნენ ამიერ-კავკასიის ერებს განადგურებისაკენ. დღეს კი ამიერ-კავკასიის შეერთებულ მშრომელთა რაზმებს ხელმძღვანელობს მათი ნამდვილათ გულშემატკივარი კომუნისტური პარტია, რომელიც მთელი თავისი ძალ-ღონით ებრძვის მსოფლიო ბურჟუაზიას.

ვსტოვებთ რა მენშევიკურ პარტიას, ფიცსა ვსდებთ მოვახმაროთ მთელი ჩვენი ძალღონე მსოფლიო მუშათა კლასის გამარჯვებას. ამავე დროს ჩვენ მოუწოდებთ ყველა იმ ამხანაგებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ შეუგნიათ მენშევიკურ პარტიის კონტრ-რევოლიუციონური არსი, მიატოვონ ამ პარტიის რიგები და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მიჰყვენ კომუნისტურ პარტიას და მის ძვირფას ბელადებს, რომლებმაც ნათლად დაუმტკიცეს მთელი დედა-მიწის მშრომელთ, რომ მხოლოთ ისინი დგანან მუშათა კლასის სადარაჯოზე.

გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა კლასის სოლიდარობას!

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს და მის წითელ დროშას!

1. კორფაშვილი ვანო 1898 წ.
2. რამინიშვილი ლავრენ. 1909 „
3. თუშმალიშვილი მინა 1897 „
4. ახალბედაშვილი გიორგი 1918 „
5. შახნაზაროვი გრიშა 1901 „

# არსენალის მუშებისაგან

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემდეგი:

ზოგიერთი ამხანაგები ფიქრობენ, რომ ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, ვირიცხებოდით მენშევიკურ პარტიაში. ამ გაუგებრობის გასაფანტავად ჩვენ, არსენალის მუშები, ვაცხადებთ:

რომ მენშევიკურ პარტიაში ჩვენ არას დროს არ ვყოფილვართ და არც შეგვიძლია ვიყოთ, რადგანაც კარგათ გვესმის და ვიცნობთ მათ გამცემლურ პოლიტიკას, რომელმაც დაქსაქსა მუშათა კლასის რიგები. ჩვენ კარგათ გვესმის და გვახსოვს ნაციონალური ომები ამიერ-კავკასიაში და ის მოღალატური როლი მუშათა კლასისამდი, რომელიც შეასრულა მენშევიკურმა პარტიამ ჩვენში.

ჩვენ, როგორც მუშები, არ შეგვიძლია დავრჩეთ სოციალისტური რევოლიუციის გარეშე და ყოველთვის და ყოველგან კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სხვა მშრომელებთან ერთად ხელიხელ ჩაკიდული დავიცავთ საბჭოთა ხელისუფლებას როგორც დაზგასთან მუშაობის დროს, ისევე მაშინაც, თუ ჩვენი მტრები მოისურვებენ საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრებზედ ასტეხონ ზარბაზნის ჭექა-ქუხილი.

გაუმარჯოს მუშების და ღარიბი გლეხების დიქტატურას!

გაუმარჯოს პროლეტარიატის ბურჟუაზიაზედ სავსებით გამარჯვებას!

1. ი. აღდგომაშვილი, 2. მ. ვაზაგაშვილი, 3. ვანო მეხრიშვილი, 4. საძაგლიშვილი, 5. გოზალოვი, 6. მაშენო, 7. ობოლაძე, 8. ბერძენიშვილი, 9. ბილანიშვილი.

# „კამოს“ სახელობის თამბაქოს ქარხნის მუშებისაგან

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ამხ. კამოს სახელობის თამბაქოს ქარხნის მუშები, მენშევიკური პარტიის წევრები, ყველას გასაგონათ ვაცხადებთ, რომ დღეის რიცხვიდან ვტოვებთ ამ პარტიას, რადგან ნათლად დავინახეთ მენშევიკების კონტრ-რევოლიუციონური პოლიტიკა, რომელსაც მუშათა კლასი დაღუპვისაკენ მიჰყავს. საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების არსებობის განმავლობაში ჩვენ ნათლად დავრწმუნდით მენშევიკების შოვინისტურ პოლიტიკაში, რომელიც იწვევდა ძმათა შორის სისხლის მღვრელ ომებს და სისხლით ღებავდა ამიერ-კავკასიას.

ვსტოვებთ რა მენშევიკურ პარტიას, ჩვენ ფიცს ვდებთ მთელი ჩვენი ძალები მოვახმაროთ მთელი ქვეყნის მშრომელთა საბოლოო გამარჯვების საქმეს.

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მუშების საერთაშორისო სოლიდარობას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლაუციას!

1. თავაძე ა. პარტ. 1910 წ. მუშა, 2. აბაიშვილი ნ. პარტ. 1917 წ. მუშა-ქალი, 3. კატაპარაშვილი მარო პარტ. 1918 წ. მუშა-ქალი, 4. ივანოვა ნინა პარტ. მხოლოდ სამი თვის განმავლობაში იხდიდა პარტიულ საწევრო გადასახადს 1918 წ. მუშა, 5. აღდგომელოვი პარტ. 1918—20 წ. მუშა წერა კითხვის უცოდინარი.

# სადგ. ნავთლუღის მუშებისაგან

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, სადგურ ნავთლუღის მუშა-მტვირთველები ყველას, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მტრების, ისე მეგობრების გასაგონათ ვაცხადებთ, რომ დღეიდან გამოვდივართ მენშევიკური პარტიიდან და გადავდივართ მუშებისა და გლეხების პარტიაში და კომპარტიის დროშის ქვეშ ვიბრძოლებთ საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა მშრომელები, რომლებიც დარჩენ მენშევიკურ პარტიაში, განთავისუფლდებიან ბურუსიდან და ჩვენთან ერთად შექმნიან პროლეტარულ ფრონტს ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს ერთიან პროლეტარულ ფრონტს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის ბელადს ამხ. ლენინს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

1. კაზაროვი ბაგდან მიხეილის ძე მენშ. პარტიის წევრი—1903 წ. 2. ბერაძე—1905 წ., 3. გიგაშვილი სალიონ—1905 წ., 4. მარგიშვილი გიორგი—1905 წ., 5. დიმიტრაშვილი კოტე—1905 წ.

# რურის ოლქის ოკუპაცია

**ჰუმანიურად კლავდნენ.**

**პარიზი.** 24 მაისი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში დაიწყო კამათი რურის საოკუპაციო სესხის გადიდებაზე. საკონტრიბუციო კომისიის თავმჯდომარედ ნამყოფმა დიუბუამ, კომისიის მოქმედების შესახებ მოხსენების დროს განაცხადა: „გერმანიის მიმართ მოკავშირეთა მოპყრობაში მუდამ გამოსჭვიოდა კეთილის მდომელობა, ზოგჯერ გადაჭარბებულიც კი, რომელიც სრულებით არა ჰნიშნავდა კონტრიბუციაზე ხელის აღებას. მაგრამ გერმანია კი დიდხანს სარგებლობდა ჩვენის ჰუმანიურობით“.

# ლოზანას კონფერენცია

**საეჭვო ხმები.**

**ლონდონი.** 22 მაისი. კანადის გაზეთ „გლობ ტორონტოს“ კორესპონდენტი ავრცელებს ხმებს, რომლის მიხედვით, ოსმალები თითქოს დათანხმებულან ბერძნების წინადადებაზე კარაგაჩისა და რეპარაციის საკითხში.

**სთხოვს ნუ გაართულებს მდგომარეობას.**

**ნაუენი.** 22 მაისი. ბრიტანეთის წარმომადგენელმა ათინაში წინადადება მისცა საბერძნეთის მთავრობას ზომიერება გამოიჩინოს და დასავლეთ ფრაკიაზე თავდასხმით ნუ გაართულებს ლოზანის კონფერენციის მუშაობას.

**მოლაპარაკებამ უშედეგოთ ჩაიარა.**

**ლოზანა.** 22 მაისი. **საბერძნეთისა და ოსმალეთის დელეგაციების უშუალო მოლაპარაკებამ უშედეგოთ ჩაიარა.** კონფლიქტის გადაწყვეტის საკითხი კონფერენციას გადაეცა, თუმცა კონფერენციამ ჯერ კიდევ თებერვალში ვერ შესძლო ამ საკითხის გადაწყვეტა.

**მდგომარეობა სერიოზულია.**

**ლოზანა.** 21 მაისი. თუმცა საბერძნეთის ფრაკიაში დამოუკიდებლათ გამოსვლის საშიშროება აუცილებულათ ითვლება, მაგრამ პრესსა მდგომარეობას მაინც სერიოზულათ სთვლის ოსმალეთისა და საბერძნეთის იმ დაჟინებითი მოთხოვნილების გამო, რომლითაც მათ სურთ, რომ სარეპარაციო საკითხი საბოლოოდ ლოზანაში იყოს გადაწყვეტილი.

**საბერძნეთის დელეგაციის პროტესტი.**

**ბორდო.** 22 მაისი. ლოზანადან მიღებულ ცნობების თანახმად საბერძნეთის დელეგაციამ პროტესტით მიმართა გენერალ პელლეს ფრაკიაში ჯარების კონცენტრაციის გამო.

**რუსეთის ნოტის გამოქვეყნება.**

**ლოზანა.** 22 მაისი. მოკავშირეების დელეგაციებმა გადასცეს პრესსას გამოსაქვეყნებლად რუსეთის მთავრობის საპროტესტო ნოტა ამხ. ვოროვსკის მოკვლის წინააღმდეგ მიმართული, რომელშიაც აღნიშნულია აგრეთვე რუსეთის მთავრობის სურვილი მონაწილეობა მიიღოს კონფერენციის შემდეგ მუშაობაში.

# ახლო აღმოსავლეთში

**ბერძნები მუქარას ანხორციელებენ.**

**ანგორა.** 24 მაისი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, 23 მაისს **საბერძნეთის 12 სამხედრო გემი შევიდა დარდანელში, დასავლეთ ფრაკიაში ბერძნებმა გამოაცხადეს სამხედრო წესები დედეაგაჩში დგანან საბერძნეთის დრედნოუტები. ბერძნების ეს სამხედრო ნაბიჯები გამოწვეულია ვითომდა ძულაე ჯში ოსმალეთის ჯარების გადმოსხმით.** რაფეტ-ფაშა უარყოფს ბერძნების ამ ცნობას.

# უკრაინის ნოტა შვეიცარიას

**ხარკოვი.** 23 მაისი. უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ რაკოვსკიმ შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს პოლიტიკურ დეპარტამენტის უფროსს გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც ნათქვამია: „უკრაინის მთავრობა უერთდება ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო რუსეთის მიერ გაგზავნილ ნოტას და დარწმუნებულია, რომ შვეიცარიის მთავრობა მიიღებს საერთაშორისო უფლების მიერ ნაკარნახევ ყველა ზომებს უკრაინის სავსებით დასაკმაყოფილებლად. უკრაინის მთავრობა აღნიშნავს იმ მძიმე შედეგებს, რომელიც შეიძლება მოჰყვეს იმ სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლებისადმი უთანასწორო მოპყრობას, რომელთა რეალური უფლება ძლიერ სახელმწიფოთა კოალიციის შიშის ქვეშ იმყოფება, რომელ მდგომარეობაშიაც შეიძლება ჩავარდეს აგრეთვე შვეიცარიაც. იცის რა ყველა ის ღონისძიებანი, რომელსაც შვეიცარიის მოქალაქეთა მრავალ-რიცხოვანი ჯგუფები ხმარობენ ს. ს. რ. კავშირთან ნორმალურ დამოკიდებულების აღსადგენად, უკრაინის მთავრობა ამხ. ვოროვსკის მოკვლაში ხედავს ამ მუშაობის ჩაშლის განზრახვებს.

# რუსეთი და იაპონია

**საბჭოთა რუსეთის ცნობისათვის**

**ტოკიო** 25 მაისი. **იაპონიის საზოგადოებრივი აზრი რუსეთთან დაახლოვების მიზნით არის განწყობილი. ამ დღეებში იოფფეს საპატივსაცემოდ იმართება გრანდიოზული ბანკეტი, რომელზედაც მოწვეულნი არიან 200 კაცზე მეტი.**

**იაპონიას სურს მონაწილეობა მიიღოს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში.**

**ტოკიო.** 22 მაისი. იაპონიის მრეწველები სურვილს იჩენენ რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენისათვის. იაპონიის მთავრობა აცხადებს, რომ მას ძალიან სურს მონაწილეობა მიიღოს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში, რადგან ეს შესძლებას მისცემს მას გაეცნოს რუსეთის მდგომარეობას.

# რუსეთი და მონღოლეთი

**რუსეთ-მონღოლეთის მოლაპარაკება.**

**მოსკოვი.** 21 მაისი. რუსეთში ჩამოვიდა მონღოლეთის სავაჭრო მისია, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს სახელმწიფო ორგანოებთან მონღოლეთისათვის სხვა და სხვა საქონლის მიწოდების შესახებ. დღის წესრიგში დგას სავაჭრო ხელშეკრულების დადება რუსეთსა და მონღოლეთს შორის, ხელშეკრულების ტექსტი უკვე გამომუშავებულია.

# სხვადასხვა ამბები

**პოლონეთი.**

**მთავრობის კრიზისი.**

**ვარშავა.** 20 მაისი. პოლონეთში მოელიან მთავრობის კრიზისს.

**დაგვიანებული ფარისევლობა.**

**ვარშავა.** 20 მაისი. პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ პარლამენტში შეიტანა შეკითხვა ლოძში პირველ მაისს მომხდარი სისხლის ღვრის შესახებ. ეს შეკითხვა შეტანილია იმის შემდეგ, როცა სოციალ-გამცემლები დამარცხდენ ლოძში საქალაქო არჩევნებში. ამ შეკითხვით მათ სურთ მიიმხრონ მუშები, რომლებიც უკვე საბოლოოთ დარწმუნდენ პოლონელ სოციალ-გამყიდველების ფარისევლობაში.

**მუშათა ორგანიზაციების დევნა.**

**ვარშავა.** 20 მაისი. პოლიციის კომისარმა ვარშავაში მოსთხოვა პროკურატურას დახურული კომუნისტური პროფკავშირების სრული ლიკვიდაცია ადმინისტრატიული წესით.

**შვეცია.**

**მშვიდობიანობისა და თავისუფლებისათვის.**

**სტოკჰოლმი** 22 მაისი კომუნისტურმა პრესამ გამოაქვეყნა შვეციის კომპარტიის უკანასკნელ ყრილობის რეზოლიუცია, რომელშიაც **ის ჰკიცხავს ინგლისის და ანტანტის იმპერიალიზმის პროვოკაციას რუსეთის წინააღმდეგ და მოუწოდებს ყველა პარტიების მუშათა ორგანიზაციებს გამოვიდნენ მასიური დემონსტრაციებით მშვიდობიანობისა და თავისუფლებისათვის.**

# წითელი რადიოგრამები

**რუსეთი**

**მაერთპლანი „მოსკოვის ბოლშევიკი“.**

**მოსკოვი.** 23 მაისი· რუსეთის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტმა დაადგინა ხელის მოწერა გამართოს მოსკოვის ორგანიზაციის წევრთა შორის ჰაეროპლან „მოსკოვის ბოლშევიკ“-ის ასაგებად.

ამხ. ტროცკი ამის თაობაზე სწერს „კარგი სახსოვარის“ სათაურით: მოსკოვის საბჭოს განზრახვა სწორედ დროს შესაფერია. ჩვენსკენ მომართულმა ულტიმატუმებმა და ათასმა მუქარამ ჩვენში საპასუხოთ უნდა აღძრას მისწრაფება, თუნდაც მცირე სახით მაინც ჩვენი სამხედრო ძლიერების განმტკიცებისა. მაშინ ყოველი მეურნეობისაგან, ყოველი თავდასხმისაგან, ყოველი განსაცდელისაგან დაგვრჩება სახსოვარი არა მარტო მეხსიერებაში, არამედ ჩვენი თავდაცვის აპარატის სინამდვილეშიაც. ჩვენის ახალი საფრენებით, ჯავშნოსნებით და სხვა ტექნიკური იარაღით დღეის შემდეგ უნდა ვსწეროთ ისტორია ჩვენი საერთაშორისო ურთიერთობისა. რაც უფრო მეტი იქნება თავდასხმა ჩვენს ხელშეუხებლობაზე, ჩვენს მშვიდობიან შრომაზე მით უფრო ღრმათ უნდა დავიჭდიოთ ჩვენ ისეთი მაგარი სამახსოვრო, როგორიც არის „მოსკოვის ბოლშევიკ“-ი

**დეკრეტი ბინის შესახებ**

**მოსკოვი.** 23 მაისი. სახალხო კომისართა საბჭომ მოიწონა დეკრეტი, რომელიც ამყარებს წესებს მოქირავე მოქალაქეთა გამქევების უფლებებისას მათ მიერ დაჭერილი ბინიდან. მდგმურები გამოდევნებიან სასამართლოს წესით იმ შემთხვევებში, თუ ბინის ქირას არ იხდიან, თუ მძარცველად ეკიდებიან ბინას, თუ მათი უმართებულო საქციელით შეუძლებელი ხდება მათ გვერდზე ცხოვრება, თუ მოქირავენისა და სახლის მეპატრონე დაწესებულებების შორის გაწყვეტილია კავშირი გამოსაძევებელ მდგმურს, სასამართლო, ბინის დასაცლელად აძლევს ვადას არა ნაკლებ ორი კვირისა და არა უმეტეს 2 თვისა და ავალებს იმ დაწესებულებას, სადაც ასეთი მდგმური მსახურობს, მოუძებნოს მას შესაფერი ბინა და მისცეს ბარგის გადატანის საშუალებანი.

ადმინისტრატიული წესით გამოსახლება სწარმოებს იმ სახლებიდან, რომლებიც ეკუთვნის სახელმწიფოს ან მიწერილია სახელმწიფო დაწესებულებებზე. ასეთი ბინებიდან შეიძლება მხოლოდ იმ პირთა გამოსახლება, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ამ დაწესებულებასთან ან წარმოებასთან და თუ ისინი არ არიან არც მუშები, არც სახელმწიფო მოსამსახურენი. ადმინისტრატიული წესით გამოსახლება სწარმოებს მილიციის განკარგულებით შვიდი დღის ვადაზე. უმუშევარნი და სახელმწიფო ხარჯზე მყოფი ინვალიდები, აგრეთვე მოსწავლენი და სახელმწიფო სტიპენდიანტები შეიძლება მხოლოდ მაშინ გამოასახლდნენ, თუ მათ მიეცემათ რიგიანი საცხოვრებელი ბინა.

ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო ამით იუწყება, რომ შაბათს, 26 მაისს, წითელ-არმიელთა ცენტრალურ კლუბში (ძველი ქართული კლუბი სასახლის ქუჩაზე), დანიშნულია

## გაერთიანებული თათბირი ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოსი

და ყველა სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენელთა (პარტიულის, პროფესიონალურის, სასპორტო, კომუნისტურ ახალგაზრდობისა და სხვათა) და აგრეთვე იმ პირთ ვისაც აინტერესებს და ვინც მცოდნეა ფიზიკური კულტურის საქმის.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე. პრეზიდიუმი კი უნდა შეიკრიბოს სრულს 6 საათზე საღამოთი, დაუგვიანებლად.

ამიერ-კავკასიის აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი და ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ტალიბლი.

# წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ყრილობა

**ჩვენ განვახორციელებთ ამხ. ლენინისთვის მიცემულ აღთქმას.**

**მოსკოვი.** 21 მაისი. 20 მაისს მოსკოვში გაიხსნა სრულიად რუსეთის მეორე ყრილობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა. ყრილობამ დეპეშა გაუგზავნა ამხ. ლენინს და აცნობა, რომ ყოველ ღონისძიებას იხმარს, რათა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მოათავოს 1927 წლამდე, როგორც ეს ჰსურდა ამხ. ლენინს.

ამხ. კრუპსკაიამ ყრილობაზე განაცხადა: „ეხლა, როდესაც გლეხ-კაცობა აწესრიგებს თავის მეურნეობას და მუშებს კი, რვა საათის სამუშაო დღის დაწესებით, საშუალება ეძლევა სწავლისა, სულ მცირე ხანშია შესაძლებელი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. ამხ. სკვორცოვმა აღნიშნა, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდიცია არის საშუალება მნიშვნელოვან საერთო პოლიტიკურ საკითხის გადაწყვეტისა, იგი სავსებით განახორციელებს ქალაქისა და სოფლის კავშირს და გზას გაუხსნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ფრონტზე ბრწყინვალე გამარჯვებას.

პოლიტიკური განათლების მთავარ მმართველის მოადგილემ ამხ. მეშჩერიაკოვმა აღნიშნა, რომ იმ ფინანსიური ხელმოკლეობის გამო, რომელსაც დღეს სახელმწიფო განიცდის, ლიკვიდაციის საქმეში უნდა დავიხმაროთ ადგილობრივი ბიუჯეტი.

დღევანდელს სხდომაზე გამოირკვა, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საქმე ყველაზე უკეთ არის დაყენებული სამრეწველო რაიონებში, სადაც შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ლიკვიდაცია ქალაქებში მოთავდება 1924 წელს. ამ მხრივ ცუდათაა საქმე ციმბირის ავტონომიურ ოლქებში.

**სალიკვიდაციო გეგმა.**

ყრილობის დადგენილებით, წერა-კითხვის ლიკვიდიციის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია რევოლიუციის 10 წლის თავი. ამ დროისათვის ნავარაუდევია წერა-კითხვა შეასწავლონ 17 მილიონ მცხოვრებთ 14—40 წლამდე. თავდაპირველად ასწავლიან შეკავშირებულ მოსახლეობის წევრებს რუსეთის კომუნისტური პარტიისას, კომუნისტ ახალგაზდებს, პროფესიონალურ კავშირთა წევრებს, ჯარში გასაწვევ ახალგაზრდობას და აგრეთვე ქალთა განყოფილების დელეგატებს. ამის შემდეგ შეუდგებიან სოფლის მოსახლეობაში წერა-კითხვის გავრცელებას.

შეკავშირებულ მოსახლეობაში წერა-კითხვის სალიკვიდაციოთ მონაწილეობას მიაღებინებენ პროფესიონალურ საბჭოებს და საგუბერნიო ორგანიზაციებს. ლიკვიდაციის მოსახდენად თავდაპირველად განზრახულია 25,000 სკოლის დაარსება ქოხ-სამკითხველოებთან და სოფლის სკოლებთან.

# კომინტერნში

**იტალიის კომუნისტური პარტიის ლეგალური მთავარი ბიურო რომში*).**

იტალიის კომუნისტური პარტია გაზ. „ავანტი“-ში აქვეყნებს შემდეგს ცნობას: თუმცა ფაშისტური მთავრობას ოფიციალურად არ დაუშლია ჩვენი პარტია, მაგრამ ჩვენი ამხანაგებისა და ჩვენი ორგანიზაციების ხანგრძლივი და თანდათანობითი დევნით იძულებულსა გვყოფს გადავიდეთ ნახევრად არა ლეგალურ მდგომარეობაზე. ამისათვის და იმ არანორმალურ პირობებისა მიხედვით, რომელშიაც ჩვენ გვიხდება მუშაობა, პარტიის ცენტრალ ორგანოებს საშუალება ესპობათ კავშირი იქონიონ როგორც კერძოთ პარტიულ ამხანაგებთან ისე თანამგრძნობებთან.

მიიღო რა ეს გარემოება მხედველობაში, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა დაარსოს ლეგალური მთავარი ბიურო პარტიისა რომში. ყველა ამხანაგებმა და თანამგრძნობებმა, ვისაც კი სურვილი აქვს კავშირი იქონიოს ჩვენს ცენტრთან, კეთილი ინებონ და მიჰმართონ ამ ბიუროს. ცენტრალურ ბიუროში შედის სამი რწმუნებული ამხანაგი: რენოსსი, გრაციადეი და შელლონი.

ამ ბიუროს მიზანი და დანიშნულებაა კავშირი გააბას ყველა იმათთან, ვისაც კი ჰსურს პარტიასთან რაიმე დამოკიდებულება. ბიურო ყოველ ღონეს იხმარს, ამხანაგებისა და თანამგრძნობთა სურვილის განსახორციელებლად.

ბიურო კისრულობს საერთაშორისო წითელი ჯვრის ფუნქციების ასრულებას იტალიაში, იგი მომავლისათვის, მიზნად ისახავს, დახმარება გაუწიოს კომუნისტურ დაწესებულებებს, როგორც პარტიულს, ისე თანამგრძნობებისას მთელს იტალიაში და აგრეთვე მიაწოდოს ნივთიერი დახმარება დატუსაღებულ ამხანაგებს.

ბიურო გამოსცემს ყოველ-კვირეულ პარტიულ ორგანოს. უახლოეს დროში გეცნობებათ მისამართები, ვის სახელობაზედაც უნდა მიჰმართონ პარტიულმა ამხანაგებმა და თანამგრძნობებმა.

---

*) მოგვყავს ეს ცნობა ჟ. „ინ. პრე. კორ“-დან იმ მდგომარეობის დასახასიათებლათ, რომელიც შექმნეს ფაშისტებმა იტალიაში ჩვენი პარტიისათვის.

რედ.

# ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

**აჭარაში.**

**მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მუშაობა აპრილში**

**ბათომი.** 22 მაისი. განვლილი თვის განმავლობაში აჭარის მიწად-მოქმედების წინაშე იდგა კომისარიატის შემოსავალის გადიდების საკითხი. ამ მიზნით კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა გაადიდოს საიჯარო ქირა საფონდო მიწებზე და საბეითლო-სასანიტარო გადასახადი აჭარისწყალზე და საზაფხულო საძოვრებზე საქონლის გასინჯვისათვის. აპრილში სასოფლო-სამეურნეო მუშაობას არა ჩვეულებრივი ინტენსივობა ახასიათებს. თვის დამლევისათვის დამთავრდა უმიწაწყლო გლეხებისათვის ნაციონალიზაცია ქმნილ კულტურულ მამულების გადაცემა. ამ ჟამად სწარმოებს მიწების განაწილება ბათომისა და აჭარისწყლის გლეხების შორის. განაწილებული მიწის რაოდენობა ბათომის მაზრაში უდრის 570 დესეტინას 470 კომლზე, აჭარისწყლის მაზრაში კი—357 დესეტინას 265 კომლზე. სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა მოსახლეობისათვის ნერგების, თესლების მისაწოდებლად. ენერგიული მუშაობა სწარმოებს აგრეთვე ოლქში მებაღეობის განსავითარებლად. შექმნილი ტრაქტორებით უკვე სწარმოებს მიწის მოხვნა, რაც საუცხოვო შედეგებს იძლევა. აპრილის განმავლობაში ქედაში გაიხსნა მეფუტკრეობის რამდენიმე პუნქტი. ქობულეთისა და ბათომის მაზრებში ადგილი ქონდა ციმბირის ჭირის რამდენიმე შემთხვევას. საბეითლო-სასანიტარო განყოფილებამ მიიღო საჭირო ზომები.

ამ ჟამად აჭარაში შესრულებულია მიწათ-მოწყობის დავალების 70 პრ 50 პროც. უმიწაწყლო და უღარიბესი გლეხობისა უზრუნველყოფილია მიწით. მიწის რეფორმის გატარების დროს ადგილი არ ჰქონია მოსახლეობაში უკმაყოფილების არც ერთ შემთხვევას თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე მსხვილ მიწის მფლობელს, რომელთაც ჩამოერთვათ მიწები და გადაეცა გლეხობას.

აზერბეიჯანი

**სახელმწიფო ბიბლიოთეკა.**

**ბაქო.** 23 მაისი. დიდის ზეიმით გაიხსნა აზერბეიჯანის სახელმწიფო ბიბლიოთეკა.

**წითელი დროშა.**

**ბაქო.** 23 მაისი. შუშის ქარხნის უპარტიო მუშებმა, ქარხნის [illegible] სამი წლის თავზე, მისი მოღვაწეობის სამადლობელოდ, გადასცეს მას წითელი დროშა.

**საპროტესტო დემონსტრაცია.**

**ნუხა.** 23 მაისი. 21 მაისს ნუხაში გაიმართა დიდებული მიტინგი, ამხ. ვოროვსკის მკვლელობასა და ინგლისის ნოტის გამო. დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდა 10,000-მდე მუშა, გლეხი და საბჭოთა მოსამსახურე.

# რადიო-ტელეგრამები

## რუსეთი და ინგლისი

**საჭიროა სიფრთხილე.**

**ლონდონი.** 22 მაისი. „ვესტმინსტერ გაზეტტ“-ი რუსეთის საკითხის შესახებ სწერს: „შეუძლებელია, რომ რუსეთის საკითხი დაისვას განსახილველად თემთა პალატაში მანამდე. სანამ არ გამოირკვევა ახალი კაბინეტის შემადგენლობა. ახალმა მთავრობამ ჯერ უნდა მიიღოს ნდობა მთავრობისაგან, სანამ მიიღებდეს რაიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას.

**სამხედრო გემების სამმართველო უარყოფს.**

**ლონდონი.** 22 მაისი. ბრიტანეთის სამხედრო გემების სამმართველო უარყოფს „დეილი გერალდის“ ცნობას, თითქოს ინგლისის კრეისერები გაწვეული იყოს ხმელთა შუა ზღვიდან მურმანის ნაპირებისაკენ. სამმართველო აცხადებს, რომ ხმელთა-შუა ზღვის ესკადრის ოპერაციები ატარებენ ნორმალურ ხასიათს და არავითარი კავშირი არ აქვთ რუსეთთან.

**კრასინის შეხვედრა კერზონთან გადაიდო.**

**მოსკოვი.** 23 მაისი. ინგლისში მთავრობის კრიზისის გამო ამხ. კრასინის შეხვედრა კერზონთან გადაიდო.

**სურს დაიცადოს.**

**ლონდონი.** 22 მაისი. „მატენის“ ლონდონის კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ ლონდონში ფიქრობენ, რომ თუ საბჭოთა მთავრობის პასუხი არ იქნება დამაკმაყოფილებელი, ინგლისი არ მიიღებს არავითარ გადაწყვეტილებას ბონარ ლოუს მემკვიდრის დანიშვნამდე.

## ინგლისის მთავრობის კრიზისის გარშემო

**კერზონი რჩება მთავრობაში.**

**ლონდონი.** 22 მაისი. იტყობინებიან, რომ კერზონი დარჩება საგარეო საქმეთა მინისტრად.

**ლოიდ-ჯორჯი ომს უცხადებს ახალ კაბინეტს.**

**ლონდონი.** 23 მაისი. გუშინ ლოიდ-ჯორჯმა სიტყვა წარმოსთქვა თავის ამრჩევლების წინაშე, რომელშიც **ის ომს უცხადებს ახალ მთავრობას.** ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ ბონარ-ლოუს გადადგომის შემდეგ მისი პირადი სიმპატიები ველარ მოახდენენ გავლენას კონსერვატორულ მთავრობისადმი მის დამოკიდებულებაზე.

**ხელს უშლის მხოლოდ კერზონი.**

**ლონდონი.** 23 მაისი. საფრანგეთის გაზეთები საერთოდ კმაყოფილი არიან ბალდვინის დანიშვნით, მაგრამ უკმაყოფილებას გამოსთქვამენ იმის გამო რომ საგარეო საქმეთა მინისტრად რჩება კერზონი.

## პრესის აზრი

**შეუცვლელად**

**„იზვესტიას“ წერილი**

**მოსკოვი** 22 მაისი. „იზვესტია“ თავის წერილში—„უცვლელად“—სწერს: „რუსეთ ინგლისის კონფლიქტის მდგომარეობა უცვლელად რჩება. მართალია, დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა უკვე იგემა მარცხი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს დიდს არაფერს ნიშნავს, რადგანაც ძალაუფლების სათავეში რჩება ისევ ის უკიდურესი იმპერიალისტური კონსერვატიული ფრთა, რომლის სახელით გამოდის კერზონი.

ოპოზიცია პროტესტს აცხადებს კერზონის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია საბჭოთა რუსეთთან განხეთქილების გამოწვევისაკენ. მაგრამ მანამდე, სანამ ეს მოძრაობა არ მიიღებს საკმაო ორგანიზაციულ ფორმებს, კონფლიქტის საფრთხე არ უნდა ჩაითვალოს განვლილად.

ინგლისის პროლეტარიატის მილიონიანმა მასებმა და ინგლისის ბურჟუაზიის საკმაოდ ფართე წრეებმა ეხლა უკვე კერძოდ იციან, რომ საბჭოთა რესპუბლიკას არ სურს არც ომი, არც სავაჭრო შეთანხმების გაუქმება ან სხვა რომელიმე კონფლიქტი, ის ცდილობს გააძლიეროს სავაჭრო ურთიერთობა ორივე სახელმწიფოს შორის და გააფართოვოს სავაჭრო შეთანხმება. ხოლო თუ ჩვენ დათმობას ყალბად გაიგებენ და მას ჩასთვლიან ჩვენს სისუსტედ, თუ ჩვენს ლოიალობაზე და მშვიდობიანობისადმი მისწრაფებაზე პასუხი იქნება ახალი ძალდატანება რუსეთზე, მაშინ ყველასათვის აშკარა იქნება ის, თუ ვის უნდა მშვიდობიანობა და ვის ომი.

როგორ მძიმე შედეგებსაც არ უნდა გვიქადდეს ჩვენ განხეთქილება, რომლისკენაც ასე აშკარად მიისწრაფვის კერზონის პარტია, თანაგრძნობა საერთაშორისო პროლეტარიატის და თვით ბურჟუაზიის საკმაოდ ფართო წრეების არის და იქნება საბჭოთა რესპუბლიკის მხარეზე, რომელიც ბოლომდე იმას ცდილობს, რომ საკითხი გადაჭრილიყო მშვიდობიანი გზით, მაგრამ ვერ ჰპოებდა გამოძახილს მოწინააღმდეგის მხრივ“.

**ჯერ-ჯერობით ძველებურად.**

**მოსკოვი.** 24 მაისი. „პრავდა“ წერილში „კაბინეტის შეცვლა ინგლისში“ სწერს: **„ბონარ-ლოუს გადადგომა და პრემიერ-მინისტრად ბალდვინის დანიშვნა არ ნიშნავს რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებას ინგლისის პოლიტიკის საერთო მიმართულებაში. დიდი შეცდომა იქნებოდა ბონარ ლოუს გადადგომა დაგვეკავშირებია ინგლის-რუსეთის მოლაპარაკების მიმდინარეობასთან.** როგორც სჩანს ბონარ ლოუს წასვლას პირადი ხასიათის მიზეზები ქონდა, მცირეოდენის პოლიტიკურის ელფერით, ეს უკანასკნელი გამოიხატა, გადადგომისათვის მომენტის გამონახვაში და მოთმინების უქონლობაში.

**ვინ არის ბალდვინი.**

ახალი პრემიერი ბალდვინი, ხაზინის ყოფილი კანცლერი ტიპიური „საქმის“ კაცია, ის პოპულიარულია ინგლისის კონსერვატორულ წრეებში და ამავე დროს იყურდნობა ინგლისის იმპერიის ვაჭარ მრეწველთა საკმაოთ მნიშვნელოვან ნაწილს. რუსეთის მიმართ ახალი პრემიერ-მინისტრი უფრო ზომიერია, ვინემ კერზონი—ინდოეთის ყოფილი ვიცე-კაროლი, რომელსაც სძაგს ყველაფერი რუსული და, რასაკვირველია, უფრო მეტად რუსი ბოლშევიკები.

ბალდვინს თავის მომხრეებს შორის ყავს ისეთი „საქმიანი ხალხი“, რომლებიც მეტად დაინტერესებული არიან რუსეთ-ინგლისის ვაჭრობის განვითარებით და რომელთაც ამიტომ დორბლი არ მოსდით პირზე პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის ხსენებაზე. ეს „რეალურ პოლიტიკოსების“ წრეები საკმაოთ თავისუფალი არიან მემამულეების ცრუმორწმუნეობისა და ზნე ჩვეულებებისაგან, რადგან მათ რეალური მოგება ურჩევნიათ ვიდრე ბურჟუაზიული ცივილიზაციის სხვა პროდუქტები. ამით აიხსნება მათი შედარებით მშვიდობის მოყვარეობა.

ამრიგად, ინგლისის კაბინეტში მომხდარი ცვლილება ისეთი მნიშვნელობისაა, რომელსაც გადაჭარბებულათ დაფასება არ ესაჭიროება. ეს არ არის მასების ზეგავლენით მომხდარი ცვლილება. და სწორეთ ამიტომ აქვს მას შედარებით მცირე მნიშვნელობა. ინგლისის პოლიტიკის ხელმძღვანელობა საერთოდ და მთლიანად რჩება ძველებური, უფრო „ლიბერალური“ კურსისაკენ მცირეოდენის „შესწორებით“. მაგრამ როგორც ყოველგვარი ცვლილება კრიზისის დროს, ის ქმნის ერთგვარ უხერხულობას ინგლისისათვის, ამიტომ გადაიდვა ინგლისის ულტიმატუმის ვადა. საერთოდ ყველაფერი დარჩა ძველებურად“.

## ყვითელი სოციალიზმის დაცემა

**ნიუ-იორკი** 23 მაისი. ნიუ-იორკში დამთავრებულმა ამერიკის სოციალისტურმა პარტიის ყრილობამ დაამტკიცა ყვითელი სოციალიზმის დაცემა შეერთებულ შტატებში.

სოციალისტური პარტიის წევრთა რიცხვი 1919 წელს უდრიდა 180 000, ხოლო ეხლა შემცირდა 12,000-დე. პარტიის ლიდერები მწუხარებით აღნიშნავდენ იმას, რომ კომუნისტებმა მათ ხელი შეუშალეს და თუმცა და დასტიროდენ მუშათა კლასის ერთიანი ფრონტის უქონლობას, მაგრამ მიუხედავად ამისა უარი სთქვეს ყოველგვარ წინადადებაზე ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ.

ყრილობამ გამოიჩინა ისეთი სისუსტე, რომ ბურჟუაზიული გაზეთები ალტაცებით სწერენ შეერთებულ შტატებში სოციალიზმის სიკვდილის შესახებ. ერთად-ერთი, რაც დარჩა ამერიკის სოციალისტური პარტიიდან ეს არის პირადი პოპულიარობა დებსის, რომლის ექსპლოატაციას ყოველივე ძალღონით. ცდილობს პარტია.

დებსი არჩეულია ცეკას თავმჯდომარედ და პარტიის ყოველკვირეული ჟურნალის რედაქტორად.

ღრმა განსხვავება დებსის და ყვითელი დემოკრატიის შეხედულებებს შორის აშკარად გამოიხატა იმ სიტყვებში, რომელიც დებსმა წარმოსთქვა—მასიურ მიტინგზე. „მიუხედავად ყოველგვარ ჭორებისა და ცილისწამებისა. რომლითაც ცდილობენ სახელი გაუტეხონ, საბჭოთა მთავრობას, უკანასკნელი უკვე მეექვსე წელიწადია მტკიცედ განაგრძნობს თავის დიად მუშაობას. მე სულიერად ამ განმათავისუფლებლებთან ვარ და სავსებით ვაფასებ იმ სხვერპლს რომელიც მათ გაიღეს ყველა მუშების ინტერესებისათვის მე არა ერთხელ ვთქვი და ვაცხადებ, რომ უდიდესი მოვლენა. რომელიც წარმოშვა მსოფლიო ომმა, არის ამხ. ლენინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულტშეფობა წითელ ჯარზე

ორშაბათს, მაისის 28 სრ. საქართველოს განათლების მუშაკთა პროფკავშირი იღებს კულტშეფობას ქართულ დივიზიაზე და საქართველოს ფარგლებში მყოფ კავკასიის ლაშქრის ნაწილებზე.

დილის 11 საათზე პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში გაიმართება საზეიმო სხდომა კავშირის პლენუმის და წითელ არმიელთა მონაწილეობით.

12 საათზე რუსთაველის პრ. (მუშათა სასახლის წინ) გაიმართება ალლუმი.

# პარტიული ცხოვრება

## საქართველოს კომპარტიის ცეკას ტრანსპორტის ქვეგანყოფილების მუშაობა.

ტრანსპორტის ქვეგანყოფილების უმთავრესი ყურადღება მიპყრობილი იყო იმ დეფექტების გასწორებისაკენ, რომელიც შემჩნეული იყო ტრანსპორტელთა შორის.

ტრანსპორტის ქვეგანყოფილების მუშაობა მოიკოჭლებდა იმის გამო, რომ არ იყო კავშირი სამაზრო და საოლქო კომიტეტებთან და უჯრედებთან ადგილებზე. ყველა ეს დეფექტები ამ ჟამად აშორებულია და ქვეგანყოფილების მუშაობა სათანადო დონეზეა დაყენებული.

**კულტ-განმანათლებელი მუშაობა.**

ტრანსპორტზე კულტურულ განმანათლებელ მუშაობის გაძლიერების და ამაღლებისათვის ცენტრში და ადგილებზე შექმნილია კომისიები ტრანსპორტის კულტურულ დაწესებულებების გამოსაკვლევად. გახსნილია 16 წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა. არის 13 ბიბლიოთეკა; იქ მოსიარულეთა რიცხვის გაგება შეუძლებელია, რადგან ადგილებზე არ ეწევიან მათ აღრიცხვას დიდ ცენტრებში (ბათომში, სამტრედიაში, ქუთაისში, ხაშურში) არის პოლიტიკური წრეებიც, რომელთა მუშაობა დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. წრეებში დამსწრეთა რიცხვი 60 პროც.-ს აღწევს.

**უჯრედების რიცხვი.**

ტრანსპორტის კომუჯრედები სულ 17—ია. წევრების რიცხვი 520, კანდიდატების 96. პარტიისადმი დიდი ლტოლვა ემჩნევა უპარტიო მუშებს.

## პარტ-მუშაობა გურიაში—აპრილში.

**საორგანიზაციო მუშაობა.**

აპრილის თვეში ორგანიზაციის რაოდენობა შემდეგია: პარტორგანიზაცია 36, უჯრედი 121, წევრთა რიცხვი 1416. საერთოთ ორგანიზაცია ძალიან ერთსულოვანია და დისციპლინაც საკმაოთ დაცულია. შემჩნეულია ძლიერი ლტოლვა პარტიაში შემოსასვლელად, მაგრამ ჯერ ცეკას განკარგულების თანახმად მიღება შეწყვეტილია. ადგილებთან კავშირი და ინსტრუქცია ხორციელდება პარტკომის ინსტრუქტორ-ორგანიზატორის საშუალებით; აგრეთვე ადგილებზე თვეში ერთხელ დადიან პარტკომის წევრები, რომელიც გარდა იმისა, რომ უწევენ ყოველგვარ ხელმძღვანელობას ადგილების მუშაობას, აგრეთვე ეცნობიან ახლო პარტორგანიზაციების მდგომარეობას და მის ყოველგვარ სუსტ ანუ დადებით მხარეებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სამაზრო ცენტრის მიერ პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობის და მათი მუშაობის სათანადო დონეზე დაყენების საქმეში.

**სააგიტ-საპროპაგანდო მუშაობა.**

სწარმოებს გაძლიერებული ტემპით ანტირელიგიური კამპანია. ჩამორთმეულია ეკლესიები თითქმის 95 პროც. გაუქმებულ ეკლესიების ნაწილი გადაკეთდა სახალხო სახლებათ და ნაწილი სამკითხველოებად და სკოლებად. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გლეხური მასა სრული კმაყოფილებით შეხვდა ამ მოქმედებას და არავითარ უკმაყოფილებას ამ მხრივ ადგილი არ ჰქონია.

პარტ წევრების პოლიტიკურად აღზრდის მხრივ მაზრკომის მიერ ყველა სუსტ ორგანიზაციებში მოწყობილია სამეცადინო წრეები, თემებში ხშირად იმართება წარმოდგენები, საუბრები და სხ. რომლებშიაც მონაწილეობას იღებს როგორც პარტიული, აგრეთვე უპარტია მასა.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა პოლიტგანათლების განყოფილების მიერ გახსნილია 4 ადგილას, მეცადინეობენ როგორც პარტიული, აგრეთვე უპარტიონიც. მათ ეძლევათ უფასოთ ყველა სამოსწავლო ნივთები.

ბეჭდვითი აგიტაცია მაზრაში უკვე მოწყობილია, გამოდის ყოველ-კვირეული გაზეთი „გურიის კომუნარი", რომელშიაც შუქდება როგორც ადგილობრივი მაზრის ცხოვრება, აგრეთვე იბეჭდება წერილები საერთაშორისო საკითხების შესახებ. ყველა თემს ყავს თავთავისი კორესპონდენტი, რომლებიც შეძლებისადაგვარად აწვდიან მასალებს გაზეთს. გაიზარდა ცენტრის (თბილისის) გაზეთებზე ხელის მოწერაც და მასა ამ გაზეთებს დიდ ყურადღებას აქცევს.

**მუშაობა ახალგაზრდათა შორის.**

კომკავშირის გურიის ორგანიზაციას ყავს საკმაოთ მომზადებული ძალები, რომელნიც დიდ დახმარებას უწევენ პარტკომს. დახურულ ეკლესიების კლუბებად და სკოლებად გადაკეთება ხდება კომკავშირის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. კომკავშირში არის თითქმის 50 პროც. მთელი აგალგაზრდობისა მაზრაში; მასთან ორგანიზაცია სარგებლობს ძლიერი ავტორიტეტით ახალგაზრდობაში. პარტიასა და კომკავშირს შორის ძალიან კარგი დამოკიდებულებაა და მტკიცე კავშირია. ხდება შეერთებული კრებები.

**მუშაობა ქალთა შორის.**

აპრილის თვეში ქალთა განყოფილებამ ჩაატარა ადგილობრივ მუშა-მოსამსახურე ქალთა დელეგატურა კრებები ოთხჯერ, რომელზედაც გაკეთდა მოხსენება ცეკას მიერ გადმოგზავნილ გეგმის მიხედვით. საერთოდ საბჭოთა და პარტორგანიზაციების მუშა-მოსამსახურე ქალების კრება მოეწყო ორჯერ, გაკეთებულ იქმნა მოხსენება „კოოპერაცია და ქალის მონაწილეობა მასში", პოლიტწრეებში სწარმოებს რეგულიარული მეცადინეობა. განაწილებულ იქნა ცეკას მიერ გამოგზავნილი მოწოდებები მშრომელ ქალებისადმი.

# ეკონომიური ცხოვრება

## ამიერ-კავკასიის ფინსახკომთან არსებული ვალიუტის კურსის დროებით დამწესებელი კომისიის ოფიციალური კურსი

25 მაისი.

საბჭ. ფულ. ნიშნ. 1 მ.—18 ათასი.
ჩერვონცები —10,700 ათასი.
გირვან. სტერ. —12,500 ათასი
დოლარები —2.700 ათასი
ოსმალ. ლირა —1,700 ათასი.

### ბირჟის გახსნა

ოფიციალური ბირჟა, რომელსაც დროებით შეწყვეტილი ქონდა მუშაობა, 26 მაისიდან ამიერ-კავკასიის ფინსახკომის განკარგულების თანახმად, კვლავ განაახლებს მოქმედებას.

### [illegible] ფასები

(25 მაისი)

შაქარი ფხვნილი—350 ათასი, საპონი მარმარილოს—300,000 საპონი „კოლლე"—300,000, ლობიო წითელი—25,000, ლობიო ჭრელი—30,000, წუმწუმა—25—30, მარილი—45 ათ., ფქვილი ყუბანის—80,000.

### ძვირფასი ლითონების ფასი

(25 მაისი)

ოქრო 96 სინჯის—3 მ. 60 კ. ოქრო 56 გასინჯ.—1 მ. 70 კ.; ვერცხლი 84 სინჯის—7 კ., ვერცხლის მანეთი—18,6 კ.

### საქონლის ბაზრის ფასები

(25 მაისი)

ხორბალი ყუბანის—1600—1700 ფ., ხორბალი ადგილობრ.—1300—1500, ბრინჯი—7000, ყუბანის ფქვილი—2900—3200, შაქარი რაფინადი—27—28 ლირა, კარაქი პირველი ხარისხის—2700, ყველი თუშური—6000—12000.

### საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო.

თანახმად ამიერ-კავკასიის საოლქო ეკონომიურ თათბირის რეზოლიუციისა, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ, ვაჭრობის მოწესრიგების მიზნისათვის ა | წ. 23 მაისს დაადგინა მოწყობილ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო, სადაც შევლენ მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი, სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭო ამ. კავკ. სასურს. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო საქართველოში, სახალხო ბანკი და სხვა.

ამასთანავე ამ-კავკ. სასურსათო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში წინადადება მიეცა ყველა ის ფონდები, რომელიც საქ. სახ. სასურსათო კომისარიატის კომერციულ ოპერაციებიდან იყო დარჩენილი გადაცემულ იქნეს საქართ. სახელმწ. ვაჭრობის სამმართველოსთვის.

# ამიერ-კავკასია ლიონის ბაზრობაზე

ლიონის ბაზრობაზე თავისი ექსპონატების გაგზავნით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა ნიადაგი მოუმზადეს ეკონომიურ და სავაჭრო სამრეწველო ურთიერთობის აღდგენას საფრანგეთსა და ამიერ-კავკასიას შორის, რომელიც ომიანობისა და მის მომდევნო წლებში თითქმის სრულებით შეწყვეტილი იყო. ასეთი ურთიერთობის განახლება მით უმეტეს აუცილებელია, რომ სამხრეთ საფრანგეთი, რომლის ცენტრს წარმოადგენს ლიონი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და თავისი სასოფლო მეურნეობის წარმოებით ძალიან ახლოს სდგას ამიერ-კავკასიასთან, რითაც აიხსნება ის მჭიდრო ეკონომიური და საალებ-მიცემო კავშირი, რომელიც უძველესი დროიდანვე გაბმული იყო მათ შორის. საფრანგეთს, როგორც სამრეწველო ქვეყანას, ესაჭიროება ამიერ-კავკასიისა და აგრეთვე მის მეზობლად მდებარე—სპარსეთისა, თურქესტანისა და სხვათა ნედლი მასალა. განსაკუთრებით საჭიროა მისთვის ამ ქვეყნებიდან გაზიდვა სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა, ხე ტყისა, ნავთისა და სამთომადნო წარმოებისათვის საჭირო მასალები. ამის სამაგიეროდ საფრანგეთს შემოჰქონდა თავისი გადამუშავებული საქონელი.

ამ ჟამად საფრანგეთის სავაჭრო წრეები (მარსელსა და ლიონში), როგორც სჩანს, ძალიან მოწადინებულნი არიან ძველი სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას. ლ. ფირალოვი „ლიონის წერილებში", სხვათა შორის, ამბობს: ამიერ-კავკასიის განყოფილებამ ლიონის ბაზრობაზე მთელი წყება კონკრეტიული წინადადება მიიღო, რათა მივაწოდოთ აბრეშუმის პარკი, აბრეშუმი, ფრიზონი, ნავთის ნაწარმოებნი, სხვადასხვა დარგის ხე-ტყე, შავი ქვა, სპილენძი, ნაწლევები, ძირტკბილა და სხვა.

ლიონის ბაზრობაზე გამოფენილ საქონლებში განსაკუთრებული ყურადღების ღირსი გახდა, განსაკუთრებით „ჩემოს" მიერ წარმოგზავნილი ნიმუშები, დანარჩენი ნიმუშები კი, გამოგზავნილი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა სავაჭრო დაწესებულებების მიერ, არ იძლეოდენ წარმოდგენას საქონლის მნიშვნელობაზე, რის გამოც არც ერთი მათგანი ჯერ არ გასაღებულა.

საფრანგეთის სამრეწველო ფირმები წინადადებას იძლეოდნენ დაგვედო მათთან სავაჭრო ხელშეკრულება ამიერ-კავკასიის ნედლეულობაზე დიდი თანხის რაოდენობით, თუმცა აუცილებელ პირობად თხოულობდნენ, რომ საქონელი მოტანილი ყოფილიყო საფრანგეთის ტერიტორიის რომელიმე პუნქტში, და აგრეთვე გამოფენილი ნიმუშები ყოფილიყვენ გასაყიდ საქონლის საშუალო ღირსებისა.

# სახელმწიფო ღვინის ტრესტში

(მუშაობის მიმოხილვა)

გასულ თვის განმავლობაში ნორმალურად მუშაობდენ არყის სახდელი ქარხანა № 4 და შუშეულობის ქარხანა № 7. ქარხანა № 3 დაიხურა, რადგანაც ტრესტს მოეპოებოდა სხვა ანალოგიური ქარხნები. № 1 და № 2 ქარხნებში სწარმოებს მხოლოდ კონიაკის და არაყის ჩამოსხმა, ხოლო რექტიფიკაცია არ ხდება ნედლი მასალის და საშუალებების უქონლობის გამო. რაც შეეხება ქარხანას № 6, მაისისათვის ამუშავებული უნდა იქნენ ლუდის, ხოლო შემდეგ კრახმალის და ყინულის ქარხნები. ამ ქარხნების ამუშავებას დიდი ხანი არ დასჭირდება, ჯერი მიდგა ამ ქარხნებისათვის ნედლი მასალის შესასყიდათ საჭირო საშუალებების გამოძებნაზე.

ამას წინად ზუგდიდის აღმასკომმა ჩაიბარა ტრესტიდან არყის სახდელი ქარხანა № 5 სოფელ აბასთუმანში. ეს ქარხანა კარგად არის მოწყობილი და ის შეადგენდა საშემოსავლო მუხლს სახელმწიფო ღვინის ტრესტისათვის. ამ ქარხნის ტრესტიდან გამოყოფის გამო—ცნობები არ მოიპოება მისი მუშაობის შესახებ.

წარმოება აპრილის განმავლობაში გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

№ 1 ქარხანაში ჩამოსხმულია 21465 ვედრო კონიაკი, 81,8 ვედრო არაყი, № 2 ქარხანაში—63 ვედრო არაყი და 14,25 ვედრო სპირტი.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოსხმა დამოკიდებულია ბაზარზე არსებულ მოთხოვნილებებისაგან.

№ 4 ქარხანაში გამოხდილია 2928,34 ვედრო სპირტი.

საერთოდ ამ ქარხნების ნაწარმოებთა რაოდენობა გამოიხატება შემდეგ გრადუსებში:

ჩამოსხმული კონიაკი—8586
„ არაყი —5712
„ სპირტი —1368
გამოხდილია სპირტი—281121

სულ 296787

ავჭალის ქარხანა წარმატებით მუშაობს—დამზადებულია ერთ თვეში—7732 ჰექა, 27049 ბოთლი და მრავალი სხვა და სხვა გვარი შუშეულობის ნაწარმოები.

რაც შეეხება ამ საქმის კომერციულ მხარეს, ტრესტის საბრუნავი საშუალების საერთო ჯამი გასულ საოპერაციო თვეში გამოიხატება შემდეგში: ტფილისში—5,826,546,730 მ. პროვინციებში—847.259,500 მან., სომხეთში—177,086,500 მან., აზერბეიჯანში — 117,117,000 მანეთი სულ 6,968,059,730 მანეთი რომელთაგან სპირტი გაყიდულია 4,243,815 მანეთის ღირებულების. ავჭალას ქარხნის ნაწარმოები ნაწილდებოდა ასე: ტფილისში გაყიდულია 426,581,000 მ., ადგილობრივ ავჭალაში—1854,173,000 მან., სულ 9,248,813,700 მანეთის ღირებულებით.

ტრესტის ფინანსიური მდგომარეობის აღდგენა სწარმოებდა ჩქარი ტემპით, მაგრამ აბასთუმანის არყის სახდელი ქარხნის ზუგდიდის აღმასკომისთვის გადაცემამ ძლიერ ცუდი გავლენა იქონია, რადგანაც სპირტი შეადგენს ძირითად ფაბრიკატს ტრესტისათვის, რომლის გაყიდვის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა ნედლი მასალების რაოდენობის შესყიდვა ყველა ქარხნებისათვის, რათა თავიდან აგვეშორებია მუშაობის შეჩერება.

ფინანსიურ წყაროებს შეადგენდენ ის თანხები, რომლებიც შემოდიოდენ უმთავრესად სპირტის რეალიზაციიდან.

დანარჩენ ფაბრიკატებზე მოთხოვნილება ბაზარზე ძლიერ მცირეა. არყის სახდელი ქარხნების მაგიერ, რომლებშიაც მუშაობა უნდა შესწყდეს ივნისში კლიმატიური პირობების გამო, ტრესტს განზრახული აქვს, რასაკვირველია თუ საშუალებები გამოძებნა ნედლი მასალის შესასყიდათ,—გახსნას ლუდის, ხოლო შემდეგ ყინულის ქარხნები.

ამ ჟამად ერევნიდან მოელიან იქ დამზადებულ პორტვეინს, რომელიც განაღდებული იქნება არსებულ ბაზრებზე.

დაბა ლიუქსემბურგში— „ეკატერინენფელდი"—მოიპოება ორი კერძო ქარხანა, რომლებიც ეხლა არ მუშაობენ და სადაც ძლიერ ხელსაყრელი იქნება ტრესტისათვის კონიაკის სპირტის გამოხდა; თუმცა-და ეს ქარხნები არ არიან მაინცა-და-მაინც ძლიერები, მაგრამ სამაგიეროდ ხელსაყრელი არიან ეკონომიური თვალსაზრისით.

ჯერ ერთი, რომ იმყოფებიან ვენახებით გაშენებულ რაიონში, სადაც გაშენებულია ისეთი ჯიშის ვენახები, რომელიც სპეციალურად გამოდგება კონიაკის სპირტისათვის, ხოლო შემდეგ უნდა აღინიშნოს ის, რომ სათბობ მასალას ქარხნებისათვის წარმოადგენს შეშა და მასთან ერთად ქარხნები ახლო მდებარეობენ ტფილისიდან.

ტრესტის გამგეობამ მიაქცია ყურადღება ამ ქარხნების ხელსაყრელობას და გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა ს. მ. უ. ს. გამგეობის წინაშე მათი შეძენის მიზანშეწონილობის შესახებ.

# კოოპერაცია

## ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო კოოპერ. ამხ. „კულტურის"-კრებამ შემდეგი მისალმის დეპეშები გაუგზავნა:

### საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს.

ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობა „კულტურა"-ს საგანგებო ყრილობა გესალმება თქვენ, როგორც საქართველოს მშრომელთა რესპუბლიკის ხელმძღვანელთ. საგანგებო ყრილობა დარწმუნებულია რომ თქვენის მეთაურობით როგორც დღემდე, დღეის იქითაც ბრწყინვალედ იქნება დაცული საქართველოს მუშათა და გლეხთა საქმე.

ყრილობა იმედს გამოსთქვამს, რომ თქვენის მეოხებით სამუდამოთ ფეხზე იქნება დაყენებული მეურნეობა ზუგდიდის მაზრაში და ფიცსა სდებს რომ ჭირში და ლხინში სამუდამოდ თქვენთან იყოს.

გაუმარჯოს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკას! გაუმარჯოს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს.

### საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. მიხა ცხაკაიას.

ზუგდიდის სასოფლო სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობა „კულტურა"-ს წევრთა საგანგებო კრება სალამს გიძღვნის, გისურვებს ჯანმრთელად ყოფნას, რომ მომავალში გაასკეცებული ენერგიით განაგრძოთ მუშაობა ჩვენი ხალხის და მუშათა გლეხების საკეთილდღეოთ.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! გაუმარჯოს პროლეტარული რევოლიუციის ბელადს მიხა ცხაკაიას! გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა კავშირს!

### საქართველოს ცენტრალური კოოპერატივთა კავშირს.

ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობა „კულტურის" წევრთა საგანგებო ყრილობა გულწრფელ ამხანაგურ სალამს გიძღვნის.

ყრილობა დარწმუნებულია რომ ცეკავშირის ხელმძღვანელობით სოფლის მეურნეობა და კოოპერაცია ზუგდიდის მაზრაში დადგება მტკიცე ნიადაგზე და მშრომელი მასსა გამოყვანილი იქნება იმ ჩიხიდან, რომელშიაც იგი ჩავარდა უმძლარ კაპიტალისტების მიერ გამოწვეული ომის გამო.

# სახალხო ჯანმრთელობა

## სამალარიო კურსები.

სამალარიო კურსებზე მეცადინობა უკვე თავდება.

თვენახევარია, რაც აქ რესპუბლიკის ცენტრში, სახელმწიფო უნივერსიტეტის გვერდით, ჩვენ რესპუბლიკის შორეულ კუთხეებიდან ჩამოსულნი, გაფაციცებით ვუსმენთ ჩვენს მოწინავე ამხანაგებს. ვუსმენთ და დღითი დღე ვრწმუნდებით იმაში, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, პროვინციაში მომუშავე ექიმებისთვის იმ ცოდნას და დაკვირვებას, რომელსაც აქ ვიძენთ.

პროვინციაში ექიმს უხდება განსაკუთრებულ პირობებში მუშაობა. ის იძულებულია იქნეს ერთსა და იმავე დროს დოსტაქარი, თერაპევტი, გინეკოლოგი, ვენეროლოგი და კიდევ ოკულისტი. ადვილად წარმოსადგენია, თუ რამდენად შესაძლოა დახელოვნება ყველა ამ დარგში და ისიც იქ, პროვინციაში, სადაც, სხვას რომ თავი დავანებოთ, არც საჭირო [illegible] მოწყობილობაა და არც საჭირო სპეციალური იარაღები.

მოწყვეტილი სრულებით კულტურულ ცენტრს, მეცნიერების ახალ მონაპოვართა გაცნობას მოკლებული, ზის პროვინციელი ექიმი რომელიმე შორეულ უბანში და თავის ცოდნას, არამც თუ შემატებს რასმე, პირიქით, ჩამორჩენილი მეცნიერებას, თავის ფიზიკურ ძალღონესაც კარგავს უხეირო ცხოვრებით. ძნელი არის ხვედრი პროვინციელი ექიმისა, მოვალეობა კი მეტად რთული და საპასუხისმგებლო. ასეთ პირობებში მყოფ ექიმისათვის საერთოდ კურსების მნიშვნელობას განა შეგვიძლია ჩვენ ფასი დავდვოთ. განა შესაძლებელია სავსებით ავღნიშნოთ თუ რა მნიშვნელობა აქვს ისეთ კურსებს, რომელნიც საშვალებას აძლევენ პროვინციელ ექიმებს ცოტა ხნით მაინც დაუბრუნდნენ კულტურულ ცენტრს, მეცნიერების ტაძარში შეიხედონ, გაეცნონ ახალ მეცნიერულ გამოკვლევებს, გამოაკვლიონ მათთვის საინტერესო, პროვინციაში მუშაობის დროს დაბადებული, საკითხები, იბაასონ და იმსჯელონ მათ შესახებ სპეციალისტ ამხანაგებთან, ერთი სიტყვით გაალვიძონ და გადაახალისონ თავიანთი აზროვნება და გონება.

ჩვენ სამალარიო კურსებზე ჩამოსულ ექიმებს ფართე საშვალება გვქონდა გვესარგებლა ყველა ამ უპირატესობით. კლინიკების კარები ღია იყო ჩვენთვის; ყოველგან გვხვდებოდენ სიამოვნებით ძმურად და მეგობრულად, გვიჩვენებდენ და გვიხსნიდენ ჩვენთვის საინტერესო საკითხებს. ბევრი რამ დავიწყებული მოვიგონეთ და ბევრი რამ ახალს გავეცანით. თვით სამალარიო კურსებზე საქმის დაყენებით ყველა ჩვენგანი მეტად კმაყოფილია. მალარია, ეს საშინელი მტერი კაცობრიობისა და კერძოთ ჩვენი ერის, ყოველმხრივ შევისწავლეთ, მივიღეთ მის შესახებ დღემდე არ არსებული ცნობები. ჩვენ აქ საკმარისად გავეცანით ლაბორატორიულ მუშაობასაც; საერთოდ მივიღეთ ის ცოდნა, რომელსაც აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჩვენს მომავალ მოღვაწეობაში. ყველა ჩვენი ხელმძღვანელი უფროსი ამხანაგები, ვხედავდით, იყვნენ განსაკუთრებით მონდომებულნი, რაც შეიძლებოდა მეტი ცოდნა მოეწოდებიათ ჩვენთვის.

ამ ბოლო ხანებში უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ ამ თავითვე ენერგიული ზომები უნდა მივიღოთ მძვინვარე სენის წინააღმდეგ და განა გვყავს ამისათვის საგანგებოდ მომზადებული ექიმები პროვინციაში? ჩვენ ვამბობთ, რომ არა. მაშ, სანამ გვიან არ არის, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რათა ყველა პროვინციაში მყოფმა ექიმებმა რიგ რიგობით გაიარონ ეს კურსები. ამნაირად სასურველია ამ კურსებს შემთხვევითი ხასიათი კი არა ჰქონდეთ, არამედ სისტემატიურად იმართებოდენ. უნდა ხდებოდეს მალარიის და სხვა ტროპიკულ ავადმყოფობათა ყოველმხრივი სისტემატიური შესწავლა, როგორც ეს არის სხვა ქვეყნებში ტროპიკულ ინსტიტუტებში.

ვათავებთ რა კურსებზე მეცადინობას, უღრმეს მადლობას ვუცხადებთ პირველათ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელთ ამ კურსების მოწყობისათვის, მეორედ—ამხანაგურის გრძნობით უღრმეს მადლობასვე ვუძღვნით ჩვენ კურსების ხელმძღვანელ ამხანაგებ პროფესორებს, ექიმებს და ლექტორებს, მივდივართ პროვინციაში გაორკეცებულ ენერგიით და ღრმა რწმენით გამსჭვალულნი, რომ ჩვენი მოწინავე ამხანაგები არ დაივიწყებენ პროვინციას, გამოიწვევენ იქიდან სულ ახლო მომავალში ახალ ჯგუფს ექიმებისას, დაბოლოს გამოგვიწვევენ ჩვენც რომელიმე სხვა დარგში ასეთივე კურსების მოსასმენად,

**სამალარიო კურსებზე მსმენელ ექიმების მონდობილობით ექიმი ჩხოლარია.**

24 მაისი 1923 წ.

# მუშათა ცხოვრება

**კვირას, 27 მაისს, დილის 10 საათზე დანიშნულია ჩვენი გაზეთის თანამშრომელ მუშა-კორესპონდენტების მორიგი კრება გაზეთ „კომუნისტი"-ს ბინაზე**

(კრუზენშტეინის ქ., № 4, სართული—3).

## „მედიკსანშრომის" კავშირის მუშკორების კრება.

ამა წლის 19 მაისს შესდგა აღნიშნულ კავშირის მუშკორების კრება, რომელზედაც განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: კედლის გაზეთის გამოცემა ადგილებზე და საორგანიზაციო მუშაობის შესახებ. პირველ საკითხის შესახებ მოხსენებაში აღნიშნული იყო ის დიდი სააგიტაციო, გამაფრთხილებელი და მასთან გამაფხიზლებელი როლი, რომელსაც ასრულებს კედლის გაზეთი დაწესებულებებში. ამის მაგალითებს ჩვენ გვაძლევს ქალაქის პირველი საავადმყოფო და სამხედრო ჰოსპიტალი, სადაც ასეთ გაზეთის გამოცემა სასურველად არის დაყენებული. აზრის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „კრება ესალმება ადგილების გაღვიძებას. კედლის გაზეთის გამოცემა ცნობილ იქნას მეტად სასურველად იმ პირობით, თუ ადგილობრივ ძალები ამის საშვალებას იძლევიან. სარედაქციო კოლეგიას, რომელშიაც შედიან: კომიაჩეიკის, კომკავშირის, ქალების და უმაღლეს პერსონალის წარმომადგენლები, მეთაურობს ადგილკომი, რომელიც პასუხისმგებელია საგაზეთო მასალის გამოქვეყნებაში. ერთი ნომერი ასეთ გაზეთისა ეგზავნება კავშირის კულტ-განყოფილებას ინფორმაციისათვის. სასურველად იქნეს ცნობილი გაზეთის ყოველ კვირეულად გამოცემა". სასურველია კედლის გაზეთების მოწყობა ფაბრიკა-ქარხნებში და სახელმწიფო დაწესებულებებში სხვაგანაც.

**მუშკორი ა. ნ.**

## თამბაქოს ქარხანა „ალზიორა"

ეს ფაბრიკა ეკუთვნის აქციონერ საზოგადოებას და ამავე საზოგადოების მიერ გადაცემულია საწარმოებლად რამოდენიმე კერძო მოიჯარადრეებისათვის, რომელნიც არიან იმავე აქციონური საზოგადოების წევრები. ფაბრიკის წარმოების საქმე კარგადაა დაყენებული ფაბრიკას დასამუშავებელი მასალა საკმარისად აქვს, რის გამოც საქონლის გასაღების საქმეც სასურველად ტარდება. აქ მზადდება საშუალო ხარისხის პაპიროსები.

ფაბრიკაში მომუშავეთა რაოდენობა აღწევს 18 კაცს. ამათგან უმრავლესობა ქალებია. ა. | წ. მარტის რიცხვებში აქ შემცირებულ იქნა შტატი. დარჩა შტატ გარედ 12 მუშა.

მუშებსა და მწარმოებლებს შორის დადებული ძველი კოლექტიურ ხელშეკრულებას გაუვიდა ვადა და ამ დღეებში ის კვლავ განახლებული იქნა. ძველი ხელშეკრულების პირობები მწარმოებლების მხრით არ არის სავსებით შესრულებული. მაგალითად, მომუშავეთათვის წინსაფრები და ერთი თვის საპონი. მათ არ მიუციათ მუშებისათვის. დასახელებული საგნები კი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მუშებისათვის და ფაბრიკის პატრონებმა არ უნდა დააყოვნონ ამ მხრით თავის ვალდებულებათა შესრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო იქნება ამას ყურადღება მიაქციოს ამავე რაიონის შრომის ინსპექტორმა სათანადო ზომების მისაღებად.

**მუშკორი ჩხმელი.**

## თბ. რკინის გზის სადგური.

(რკინის გზის სამმართველოს საყურადღებოდ).

სადგურს ოლოსავლეთ და სამხრეთს შუა მხრიდან აქვს ფიცრის ბაქანი, სადაც ჩერდებიან სამხედრო და სამგზავრო მატარებლები. ბაქანი სიძველის გამო ძალიან დაზიანებულია და ალაგ-ალაგ ჩამტვრეულიც რის გამო მასზე სიარული ფრიად სახიფათოა. აქ დგება ღამის ათ საათზე კახეთიდან მოსული მატარებელი, რომლიდან ჩამოსვლის დროს მგზავრები ხშირად განიცდიან მარცხს. 19 მაისს აღნიშნულ მატარებლიდან ჩამოსულ მგზავრებს შორის ერთი ხანში შესული ქალი ჩაიჩხა ჩამტვრეულ ფიცრებში და იტკინა ფეხი. ის მოდიოდა თბილისში შვილებთან, რომლებისაგან ორი სწავლობს და ერთიც მსახურობს წითელ ჯარში. მას სიღარიბის გამო არ აქვს საშუალება წამლობის და არც სცოდნია, რომ ასეთ შემთხვევაში რკინის გზა პასუხისმგებელია და ოქმი არ შეუდგენია. მას საბრალოს არც აქვს მოწმობა, რომ ის წითელ-არმიელის დედა არის, რის ძალით მას შეეძლო უფასო წამლობით სარგებლობა. ამიტომ არის უწამლო და ტკივილებით იტანჯება. დღეს, თუ ხვალ იგივე ბედი მოელის აქაურ მუშებსაც, რომელთაც აქ უხდებათ გამუდმებული მუშაობა. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება, რომ აღარ მოხდეს განმეორებითი მარცხი, ბაქანზე აღარ უნდა გაჩერდეს მატარებელი მის შეკეთებამდი.

**მუშა გ. ბ—შვილი.**

## იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

### ბინის ტარიფიკაცია.

**კითხვა:** აქვს თუ არა სახლის პატრონს უფლება გამოასახლოს ბინიდან მუშა-მოსამსახურე ბინის ქირის გადაუხდელობის გამო?

**პასუხი:** მუშა-მოსამსახურეთა ბინიდან გამოსახლების უფლება ეძლევათ სახლის ანუ ბინის პატრონებს მხოლოდ იმ შემთხვევაში და ისიც სახალხო სასამართლოს წესით, თუ კი დამტკიცდება, რომ მუშა-მოსამსახურეები თავის დროზე, დაუგვიანებლად იღებენ შრომის ხელფასს და განზრახ არ იხდიან ბინის ქირას.

**კითხვა:** როგორ უნდა მოიქცეს მუშა-მოსამსახურე იმ შემთხვევებში, როდესაც მას მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, როგორიც არის; მაგ.—შრომის ხელფასის დანიშნულ დროზე მიუღებლობა, ბინის ქირის გადახდა უხდება დაგვიანებით და ბინის ანუ სახლის პატრონი კი მოითხოვს მისგან კატეგორიულად დაუყოვნებლივ ბინის ქირის გადახდას?

**პასუხი:** აღნიშნულ შემთხვევებში მუშა-მოსამსახურენი ვალდებულნი არიან წარუდგინონ სახლის პატრონს მოწმობები თავის დაწესებულებებიდან, რომ მათ (მუშა-მოსამსახურეთ) არა აქვთ დანიშნულ დროზე მიღებული შრომის ხელფასი. ამით სახლის ან ბინების პატრონებს ერთმევათ უფლება მოსთხოვონ მუშა-მოსამსახურეთ ბინის ქირა იმ დრომდე, სანამდის ეს უკანასკნელები ჯამაგირებს მიიღებენ. თვით მუშა-მოსამსახურეები კი ვალდებულნი არიან შეიტანონ ბინის ქირა ჯამაგირების მიღებისთანავე.

**კითხვა:** რამდენი კვადრატიული არშინია დაწესებული თითოეული მცხოვრებზე საცხოვრებელ სივრცის (მოედნის) ნორმად ნორმალურ ქირის გადახდით?

**პასუხი:** თითოეულ მცხოვრებელზე დაწესებულია ნორმად 25 კვადრატიული არშინი.

**კითხვა:** აქვთ თუ არა მუშა-მოსამსახურეთ ნორმაზე ზევით ბინით სარგებლობის უფლება?

**პასუხი:** ქალაქის საბჭოს ა. წ. 8 მაისის დადგენილებით არ არის აღკრძალული მუშა - მოსამსახურეთათვის ნორმაზე ზევით საცხოვრებელ სასარგებლო სივრცით (მოედნით) სარგებლობა; მხოლოდ ამავე დადგენილების თანახმად პირველი ოც და ერთი კატეგორიით გადამხდელი მუშა-მოსამსახურენი ვალდებულნი არიან სასარგებლო სივრცის (დაწესებულ ნორმას ზევით) მონარჩომ ყოველ კვადრატიულ არშინზე ქალაქის აღმასკომის სასარგებლოდ გადაიხადონ განსაკუთრებული გადასახადი—ნორმალურ ქირის 100 პროცენტის რაოდენობით, (ე. ი. ნორმალური ქირა ორმაგად).

**კითხვა:** რომელი მუშა-მოსამსახურის აქვს უფლება იქონიოს ბინა ნორმაზე ზევით ნორმალური ქირის გადახდით.

**პასუხი:** ნორმაზე ზევით ერთი ოთახი დაჭერის (არა უდიდესი 30 კვადრატ. არშინისა) ნორმალურ (მოუმატებელი) ქირის გადახდით უფლება აქვთ—1) საბჭოთა დაწეს.-წარმოებათა პასუხისმგებელ მუშაკებს,—2) პროფესორებს,—3) პრაქტიკის მქონეც—ექიმებს და საბჭოთა მოსამსახურე ინჟენერებს.

(იხ. საბჭ. დად. № 11. §§ 18, 14, 4 შენიშვნა 4).

## მუშათა ქრონიკა

— **თეატრის მუშები.** აკადემიური თეატრების მუშების დადგენილების თანახმად თეატრებში უნდა მოეწყოს სამკითხველოები. ამავე მუშებს განზრახული აქვთ აგრეთვე საამხანაგო სასადილოს გახსნა—მოწყობა.

— **დამხმარე კასა თეატრის მუშებისათვის.** ხელოვნების კავშირთან არსებულ დამხმარე კასაში ჩაეწერა რუსთაველის თეატრის მუშა-მოსამსახურეთა მთელი შემადგენლობა. ამავე კასის გასაძლიერებლად განზრახულია სალამოს მოწყობა.

— **მუშა-მოსამსახურეების მაისისთვის ულუფის ფასი.** სასურკომის დადგენილებით სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებს, რომელნიც სახელმწიფო მომარაგებაზე არიან აყვანილი, მაისის ულუფად დაურიგდებათ ყუბანის ფქვილი—ფუთი 1,120,000 მანეთად, ადგილობრივი—980,000 მან., ყუბანის ხორბალი 910,000 მან., ადგილობრივი—840,000 მან.

— **ახალი სკოლა მუშებისათვის.** მთავარ სასურ. განყოფილებამ მუშებისათვის 21 მაისს გახსნა რუსული სკოლა, სადაც უკვე მეცადინეობს 17 ამხანაგები. დამატებითი საგნად სკოლაში შემოღებულია „პოლიტიკური ანბანი".

— **ახალი დრამა-სექცია.** სახალხო გემო-კვების კავშირში დაარსდა დრამატიული სექცია, რომელიც შესდგება მხოლოდ კავშირის წევრებისაგან. სექცია ამ ჟამად ემზადება და ახლო მომავალში თავის ძალებით გამართავს იაფ-ფასიან წარმოდგენებს. შემოსავალი მოხმარდება კავშირის კულტ-განმანათლებელ მუშაობას.

# ქრონიკა

**შეცდომის გასწორება.**

გუშინდელ მეთაურ წერილში შეპარულია კორექტურული შეცდომა, რომელიც ამახინჯებს აზრს. წერია: „აი ნამდვილი აზრი ლონდონის და ჩვენი ინტერნაციონალების შეერთების". სიტყვა—ჩვენი-ს მაგივრად უნდა იყოს: ვენის.

**განათლების კომისარიატში.**

— **ახლად სწავლა დამთავრებულების საყურადღებოთ.** განათ. განყ. გამგეებს დაეგზავნათ ცირკულიარული მიწერილობები, რათა აცნობონ ტეხნიკუმის მოწაფეთ, რომლებიც წელს ამთავრებენ სწავლას, რომ ტფ. სახელმწ. უნივერსიტეტთან არსებობს პოლიტეხნიკური ფაკულტეტი შემდეგი დარგებით: მექანიკური, საამშენებლო და სამთომადნო. სტუდენტთა ჩარიცხვა აღნიშნულ ფაკულტეტზე დაიწყება ა. წ. 15 სექტემბერს, რისთვისაც საჭიროა დამატებითი გამოცდების ჩაბარება მათემატიკასა და ფიზიკაში.

— **მწერალთა საყურადღებოთ.** განათლების კომისარიატთან არსებული მთავარი სახელოვნო კომიტეტი აცხადებს მწერალთა საყურადღებოთ, რომ ყოველი ნაწარმოები წიგნად დასაბეჭდი და სცენაზე დასადგამი, რომლისთვისაც საჭიროა მთავარ სალიტერატურო სამმართველოსაგან ნებართვა, პირველად განხილული უნდა იქნეს მთავარ სახელოვნო კომიტეტში.

**კრებები და მოხსენებები**

—დღეს, 26 მაისს, საღამოს 6 საათზე. მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგება ამავე კლუბის წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნება გამგეობის მოხსენება წარსულ და მომავალ მუშაობის შესახებ. დასწრება ყველა წევრებისათვის სავალდებულოა.

— **ომში დასახიჩრებულთა დახმარების კვირეულის სასარგებლოდ.** 1. გადასახადს აგროვებენ მხოლოდ ყავახანაში, ტრაქტირებში, გასტრონომიულ მაღაზიებში და ბუფეტებში. 2. დამატებითი გადასახადი უდრის ყოველ ნასყიდობის თანხის 10 პროცენტს. 3. მსყიდველთ წინადადება ეძლევათ თვითონვე ადევნონ თვალი, რომ ჩვენმა კონტროლმა, მათს თვალწინვე შეიტანოს ეს გადასახადი ჩვენ მიერ დამშ. კომიტ. ბეჭდით დამოწმებულ საკვიტანციო წიგნაკში ან ფურცელზე. 4. ყოველი გაუგებრობის შესახებ გთხოვთ წერილობით მიმართონ ცენტრალურ კომისიას—შიმშილობის შედეგებთან მებრძოლი ოკას კომიტეტში (რუსთველის პროსპ. № 22) დილის 9—3 საათამდე.

ცენტრალური კომიტეტი.

— **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში.** კვირას 27 მაისს დილის 11 საათზე საზოგადოების მორიგ კრებაზე საქარის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურის გამგე კ. მოდებაძე გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „მევენახეობის მდგომარეობა იმერეთში".

**სხვა და სხვა.**

— **სამხედრო რევტრიბუნალის სესიის გამგზავრება.** ამ დღეებში სამხედრო რევტრიბუნალის სესია მიემგზავრება დასავლეთ საქართველოში 11 სხვა და სხვა ხასიათის დანაშაულობის საქმის გასარჩევად.

— **თამბაქოს შეძენა.** ა.-კ. კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა შეიძინა აფხაზეთში 16,000 ფუთი თამბაქო, რომელსაც გადასცვლის სხვა და სხვა საქონელზე საზღვარგარეთის ფირმებთან.

— **არხის გაყვანა.** საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს არხების გამყვანი განყოფილება შეუდგა სოფ. დუესი-გრაკლის (გორის მაზრა) მიმართულებით დიდი არხის გაყვანას. ამ ჟამად ხსენებულ არხზე მუშაობს 2801 მუშა 115 ურემით.

— **შემოსავალი სამოქალაქო გადასახადისაგან.** 1923 წ. 19 მაისამდე სამოქალაქო გადასახადისაგან შემოვიდა სახ. ბანკის სალაროში: 16,847,100,000 მ., ტფილისის ხაზინაში—28,987,772,000 მ., სხვა და სხვა ქალაქების ხაზინების სალაროებში—გარდა ფოთისა—შემოვიდა: 240,808,500 მან., სულ 71,075,808,500 მანეთი.

— **საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ.** კვირას, ავჭალის წყალსადენში გაიმართება სალამო-სეირნობა საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ.

— **ქართული ენის კურსები.** მუშათა ცენტრალურ კლუბში 1 თიბათვიდან იხსნება ქართული ენის კურსები, ჩაწერა კურსებზე სწარმოებს.

# ხელოვნება

## „ჰამლეტი" ქართული აკადემიური დრამის სცენაზე, გიორგი დავითაშვილის ბენეფისი.

ახალგაზრდა ქართველი მსახიობის გიორგი დავითაშვილის ნახვა მე მხოლოდ ორჯერ მომიხდა და ისიც რუსულ სცენაზე („სევილიის სამიკიტნო" და „ჯენტლმენი"). რა თქმა უნდა ამით ძნელი იყო გ. დავითაშვილის ნიჭზე რაიმეს თქმა. ორივეჯერ დამაინტერესა მე ახალგაზრდა მსახიობმა როგორც კომედიების კარგმა მსახიობმა. რამოდენიმეთ სულიერი აღელვებით მივდიოდი მე გ. დავითაშვილის დღესასწაულზე. „ჰამლეტი" ეს ახალგაზრდა მსახიობების მისწრაფების მიზანია, მისწრაფება ძალიან გაბედული; ვის არ მოუკიდია მისთვის ხელი დაწყებული ყველა ეროვნების საქვეყნოდ ცნობილ ტრაგიკოსებიდან და ორდინარულ დრამატიულ დასის მეორე ხარისხოვან მსახიობებით გათავებული. ამ რიგათ ყოველ მსახიობს შეუძლია მიუდგეს როლს სუბიექტიური, თავისი საკუთარი თვალსაზრისით, რომ რაიმე ახალი ორიგინალური მოგვცეს, თუნდ ეს „ახალი" მხატვრულ ფორმებს არ ეგუებოდეს.

ხომ იყვნენ ჩვენს სცენაზეც ჰამლეტის როლის შემსრულებელნი (პეტიპა), რომელნიც ორიგინალობისათვის მოდერნისტულ ფორმებში ანსახიერებდნენ ამ ისტორიულ ტიპს. საბედნიეროდ ყველა ჩემი იჭვები მობენეფისის ეს სცენაზე პირველი გამოსვლისთანავე გაიფანტენ. გრიმისა, მიმიკისა, გარეგნობისა და იმ [illegible] ტონის მიხედვით, რომელსაც დავითაშვილის შესრულებაში გადამწყვეტი ადგილი უჭირავს, მე მივხვდი, [illegible]

გ. დავითაშვილი შორსაა რაიმე ორიგინალობის გამოჩენის აზრისაგან, რომ მას ისევე ესმის როლი, როგორც ის ესმოდათ დიდებულ იტალიელ ტრაგიკოს როსსის, რუსეთის ტრაგიკოს როსოვს და საფრანგეთის—მუნე-სიულის. მე ეს სახელები შედარებისათვის კი არ მომყავს, არამედ დავითაშვილის როლისადმი მიდგომის დასახასიათებლად.

გ. დავითაშვილის „ჰამლეტი“ სევდიანია, ტანჯულია იმ უსამართლობისათვის, რომელსაც ადგილი აქვს დანიის მეფის კლავდიუსის სასახლეში (კლავდიუსმა ტახტის ხელში ჩასაგდებათ თავისი ძმა მოკლა); ჰამლეტი იტანჯება თავისი დედისათვის, რომელიც აგრეთვე მკვლელობის მონაწილე იყო, ჰამლეტს უყვარს ოფელია პირველი ახალგაზრდური სიყვარულით, და იტანჯება მისთვის, რადგან ის თავისი მამის—პოლონიუსის, გავლენით უსამართლობის ქსელშია გაბმული. ასე გ. დავითაშვილის მიერ განსახიერებული ჰამლეტი.

როლის შესრულების დამახასიათებელ თვისებათ უნდა ჩაითვალოს ყოველგვარ ტენდენციოზობის თავიდან აცილება ე. ი. აუდიტორიაზე გავლენის მოხდენის სურვილის თავიდან აშორება. გ. დავითაშვილი როლს კეთილშობილ სტილით და მშვენიერ ნახევარ ტონებით ასრულებს. მისი შესრულება კეთილშობილია ისევე, როგორც კეთილშობილია მსახიობის მოხდენილი ფიგურა; მისი გრიმი და მიმიკა მშვენიერია. პათეტიურ ადგილებში გ. დავითაშვილი ჩვენს ტემპერამენტს, მაგრამ აქაც ყველაფერი ზომიერი და ლამაზია, რა კარგია მსახიობის დიქცია, რა მშვენიერია მისი ხმა. თამაშში ინტონაცია სჭარბობს და ეს ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანია მსახიობის ნიჭის. გ. დავითაშვილი სცოცხლობს სცენაზე; დიდი სულიერი გაწყობილებით იყო წარმოთქმული დიდებული მონოლოგი „ყოფნა არ ყოფნა“... სხვებზე რა უნდა ვსთქვა. საერთოდ ტრაგედიის დადგმა მოფიქრებულია, ყველამ იცის როლები, ყველა ასე თუ ისე თავის ადგილზეა, მხოლოდ მე არ შემიძლია გავიზიარო ის მოდერნიზმი, რომელიც მოქ. ფალავას დადგმაში სჭარბობს და უმთავრესათ კი ის ნახევრად სიბნელე, რომელიც თითქმის ყველა მოქმედებებში მეფობს.

პირველ ყოვლისა ის სცენა, სადაც „გონზაგოს მკვლელობაა“ წარმოდგენილი, სხვანაირათ უნდა დაიდგას: მკვლელობა სცენის სიღრმეში უნდა ხდებოდეს, ჰამლეტის სცენა კი ავანსცენაზე უნდა იყოს; საზოგადოებას გონზაგოს მკვლელობა კი არ აინტერესებს, არამედ მსახიობების თამაში—უმთავრესათ ჰამლეტის და კლავდიუსის. უეჭველია აქ გ. დავითაშვილს მდიდარი და მრავალფეროვანი მიმიკა აქვს, რომელიც საზოგადოებისათვის შეუმჩნეველი დარჩა სიბნელის გამო. ასევე ითქმის ჰამლეტის დედასთან შეხვედრის სცენაზედაც: აქ ხომ მშვენიერი მონოლოგია დრამატიულ გადმოცემასთან დაკავშირებული. აქ გ. დავითაშვილს პატარა საყვედური: მომაკვდავ მამის ლანდს მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს. სხვა მოქმედ პირთაგან მე აღვნიშნავ მოქ. ხორავას, რომელმაც კლავდიუსის კარგი ტიპი და გრიმი მოგვცა და მოქ. კორიშელს—პოლონიუსი, მხოლოდ პოლონიუსი კორიშელის შესრულებაში მეტად გულკეთილი გამოვიდა, ნამდვილათ კი პოლონიუსი ეშმაკი და ბოროტი სასახლის კაცია. ოფელიას პოეტურ სურათს იძლევა მოქ. გამრეკელი.

სუსტი დედოფალი გერტრუდა იყო ნინო დავითაშვილი, მასში არ იყო დიდებისა და თავის მდგომარეობის შეგნება.

მოზრენფისეს ძალიან მხურვალეთ შეხვდა საზოგადოება; მსახიობის წარმატება ყოველი აქტით იზრდებოდა და ბოლოს საზოგადოების ალტაცება ოვაციებში გადავიდა.

ეს ერთი საინტერესო წარმოდგენათაგანი იყო მთელი სეზონის განმავლობაში.

**ძველი.**

— **რეჟისორის აკაკი ფალავას ბენეფისი.** კვირას, 27 მაისს, რუსთაველის თეატრში გაიმართება რუსთაველის თეატრის რეჟისორის და დასის გამგის აკაკი ფალავას ბენეფისი; წარმოდგენილი იქნება მეორედ და უკანასკნელად „ჰამლეტ“.

— **ავლაბრის მუშათა კლუბი.** 3 თიბათვეს გაიმართება ავლაბრის მუშათა კლუბის დრამატიული წრის რეჟისორის იოსებ რევაზიშვილის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება აკაკი ვასაძის მონაწილეობით „ედმონდ კინი“.

— **მხატვარ მოსე თოიძის სტუდიის გამოფენა.** მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიის გამოფენა გაიხსნება ხვალ, 27 მაისს. გამოფენა მოეწყობა კინო-თეატრ „არფასტოს“ შენობაში, მეორე სართულზე. გამოფენაზე მონაწილეობენ მოწაფეებს გარდა თვით მოსე თოიძე და ირ. თოიძე.

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს რუსთაველის თეატრში საქ. წითელი ჯვრის სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება ნინო ნაკაშიძის პიესა „ვინ არის დამნაშავე“ ალ. წუწუნავას რეჟისორობით.

— **მუშათა ცენტრალური კლუბი.** შაბათს, 26 მაისს, მუშ. ცენტრ. კლუბ 1 საბჭოთა თეატრის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება 5 მოქ. მელოდრამა გრინინისა „მონასტრის კედლის იქით“. კვირას 27 მაისს ამავე დასის მიერ წარმოდგენილი იქნება 3 მოქ. კომედია მოლიერისა „ცრუ ავადმყოფი“.

# პროვინციაში

### საჩინო (ქუთაისის მაზრა).

საჩინო ეწოდება მთელს რაიონს ქუთაისის მაზრაში, რომელიც აერთებს, ექვს-რვა სოფელს: ვანს, ტყელოვანს, ციხესულორს, შუამთას, სალხინოს, დიხაშხოს, ისრითს და სხვ. ეს სოფლები მდებარეობენ დასავლეთ-სამხრეთით ქუთაისისა და დაშორებულია მასზე 25-30 ვერსით.

„მთელი მაზრა რომ დაიმშეს, საჩინომ არჩინოსო—ხოლო თუ საჩინო დაიმშეს, ვერავინმა არჩინოსო“-ო. ამ ძველ თქმულებას ხსენებული რაიონი, შეიძლება ითქვას, რომ სრულიად ამართლებს დღესაც, ვინაიდან იქ იმდენათ მდიდარია და უხვი ბუნება, რომ ვეჭვობ, იყოს საქართველოს რომელიმე კუთხე ისეთი მოსავლიანი და ყველაფერით სავსე, როგორც საჩინო არის.

ამას გარდა ხსენებულ რაიონს ახლავს ირგვლივ ისეთი მოსავლიანი და მდიდარი სოფლები, როგორიცაა: ონჯოხეთი, საპიჩვო, გადიდი, დვალიშვილები, ბჟანი, ამაღლება, გორა, ზეინდარი, ინაშაური და სხვა. უმთავრესი ხელობა ადგილობრივი მცხოვრებისა ზემოხსენებულ სოფლებში, რასაკვირველია, ხვნა თესვა არის, მაგრამ ამასთანავე აქ ეწევიან მებრეშუმეობას, ზოგადათ მეფუტკრეობას და აგრეთვე ამ რაიონში ამზადებენ ხე ტყის მასალას, რასაც ხელს უწყობს ახალციხის მთების სიახლოვე, რომელიც, როგორც ვიცით, ძალიან მდიდარია ტყით.

თხილი და ბამბა ამ რაიონში ბევრი მოდის და აგრეთვე ბლომათ იშოვება დაფნის ფოთოლი, რაზედაც ძველად, როცა გზები გახსნილი იყო, დიდი მოთხოვნილება იყო. ვარაუდით რომ ავიღოთ, ზემო ჩამოთვლილ სოფლებში დაახლოვებით 10,000 კომლზე მეტი მცხოვრები იქნება და ეს უზარმაზარი რაიონი, რომელსაც დაკავებული აქვს თითქმის 300 კვადრატიული ვერსი და რომელიც განირჩევა სხვა რაიონებიდან ბუნების დაუფასებელი სიუხვით და მოსავლიანობით, სრულად მოწყვეტილია ცენტრიდან, გზების და სხვა ცენტრთან შემაერთებელ საშუალებათა უქონლობა იძულებულ ყოფს აწარმოოს აქაურმა ხალხმა კარჩაკეტილი ცხოვრება: რომ არ ვილაპარაკოთ რკინის გზის უქონლობაზე, აქ არ არის ხეირიანი შარა გზა და რაც უფრო მნიშვნელოვანია, აქ არ არის ხიდი მდ. რიონზე, რაც მეტის-მეტად აძნელებს კავშირის დაჭერას ქ. ქუთაისთან. ძველათ, როდესაც რკინის გზის ხაზი გაყავდათ თბილისიდან ბათომისაკენ შესაძლებელი იყო ცოტაოდენი ზედმეტი ხარჯის გაწევით ამ რაიონის შუაგულში გატარება ხსენებული ხაზისა, რაც უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, ვინაიდგან სადგ. რიონიდან დაწყებული თითქმის სადგურ სამტრედიამდე ეს ხაზი გადის ტიტველ მინდვრებზე, სადაც არავითარი სოფელი არ არის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სოფ. მუხიანს და კოპიტნარს, სრულიად გამოფიტულს და უმნიშვნელოს. მაგრამ მოგეხსენებათ ძველი რუსის ჩინოვნიკები სრულიად არ იყვნენ დაინტერესებულნი საქართველოს რომელიმე სოფლის კეთილდღეობაში. ეს უნდა ჩაითვალოს უმთავრეს მიზეზათ იმისა, რომ საჩინოს რაიონს მოაკლდა ისეთი კულტურული საქმე, როგორც არის რკინის გზა ეს იყო ძველ დროს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ის ძველი დრო უკვე დაიამარა ძლიერმა ძალამ, რომელიც გამომხატველია მუშებისა და გლეხების ნებისყოფისა და დღეს საქართველოში და სრულიად რუსეთში თავისუფლათ ფრიალებს ამ ნების ყოფის სიმბოლო—წითელი დროშა. ამასთანავე ჩვენ ისიც ვიცით, რომ ამავე ნების ყოფის გამომხატველმა საბჭოთა მთავრობამ შესძლო დაწყება და ზოგან კიდეც დამთავრება ისეთი საქმეებისა, როგორც არის, მუღანის მორწყვა, ყარაიაზის არხის გაყვანა, დიდი-ჯიხაიშის (ქუთაისის მაზრა) რაიონში სარწყავი არხის აშენება, ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აშენების დაწყება, ჩათახის ქარხნის ამუშავება და მრავალი სხვა.

იმედს გამოვსთქვამთ, რომ საჩინოს რაიონსაც მიექცევა სათანადო ყურადღება და აქ თუ რკინის გზა არა, ხიდი მაინც იქნება გაკეთებული მდ. რიონზე, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს სახელმწიფოს და დიდ წარმატებასაც მისცემს ადგილობრივ გლეხებს, რომელნიც ყოველი გზით უკიდურეს მდგომარეობას განიცდიან ცენტრთან მახლობელი კავშირის უქონლობისა გამო.

ვ. შ.

# წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ პატივცემულ გაზეთ „კომუნისტში“ მოათავსოთ ეს წერილი.

მე ვმუშაობ თფილისის რკინის გზის ცენტრალურ ელექტრო-სადგურში. ჩემთან მომუშავე ზოგ ამხანაგებს ჰგონიათ, თითქოს მე ვირიცხებოდი მენშევიკურ პარტიაში წევრად. ამით ვაცხადებ მათ და ყველას გასაგონათ, რომ მე არ მქონია ამ პარტიასთან რაიმე კავშირი. მე ვიყავი და ვარ ახლაც უპარტიო. ვუყურებდი წინადაც, ვუყურებ დღესაც ზიზღით მენშევიკებს, როგორც ხალხის სიმდიდრის მტაცებლებს და პატივსა ვცემ ეხლანდელ მუშურ და გლეხურ მთავრობას.

**ივანე ხოშმაჟარაშვილი.**

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**ცირკულიარულად.**

**ს. ს. ს. რ. ტერიტორიაზე მყოფ ყველა სახალხო კომისარიატებს და საბჭოთა დაწესებულებებს.**

**„დაწესებულებებში — საზაფხულო პერიოდში სამუშაო დროის შესახებ“**

ა. | კ. შრომის სახ. კომ.-ის რწმუნებულის სამმართველო ამით ვაუწყებ ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ ყველა საბჭოთა დაწესებულებებში მიმდინარე წლის საზაფხულო თვეებში—28 მაისიდან—15 სექტემბრამდე მუშაობის დასაწყისად წესდება დილის 8 საათიდ. ნაშუადღევის 2 საათამდე.

ა. | კ. შრ. სახ. კომ. რწმუნებული საქართველოში. ა. იაშვილი.

საერთო საორგ. განყ. გამგე: ლ. ქურდოვანიძე.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

### პარტიული

**მარქსისტული წრეების მეცადინეობის ცხრილი 21 მაისიდან 27 მაისამდე.**

— 1. კვირას, 27 მაისს, დილის 11 საათ. 1 საათამდი ამიერ-კავკ. საგანგებო კომისიის წრე. ხელმძღვანელი ლიბახი.

— 2. კვირას, 27 მაისს 11—1 საათ. სახელმწ. უნივერსიტეტის წრე. ხელმძღვანელი ამხ. დუდუჩავა.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაც.-საპროპაგანდო განყოფილება.

# განცხადებები

ღრმად დამწუხრებული ძმა მიხეილ საბას ძე, მეუღლით ევდოკია ივანეს ასული, შვილებით: გიორგი და თამარა კუკავაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მაისის პირველ რიცხვებში ქ. სტამბოლში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

## გიორგი (ჟორჟიკა) ანდრონიკოს ძე
## იოსავა

კალოუბნის ეკლესიაში მაისის 27 კვირას დანიშნულია სულის მოსახსენებელი წირვა 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი 12 საათზე.

711—1—1

ღრმად და წუხრებულნი ძმები ევგენი, ალექსანდრე, ანდრია და ვასილ, დები—ეკატერინე, პაშა და ელენე, რძლები—ეკატერინე, ქრისტინე და ტატიანა უშვერიძეები, და ანეტა და სიძე თომა მეგრელიშვილები, სიძე პლატონ ტუსკია აცნობებენ ნათესავ ნაცნობთ მათთვის ძვირფასის სტუდენტ

## შალვა ილარიონის ძე
## უშვერიძის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება კვირას, 27 მაისს, დღის 12 ს., საკუთარ ბინიდან—არსენალის ქ. № 16, ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზედ.

708—1—1

ღრმად მწუხარე ელისაბედ (გოგუცა) დიმიტრის ასული და მეფიკო ამბაკოს ასული ცხვედიანები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას პირველის საყვარელი მეუღლის და მეორის ძვირფასი მამიკოს

## ამბაკო ნარიმანის ძე
## ცხვედიანისას

რომელიც ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 23 მაისს, 1923 წ. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, ყაზბეგის ქუჩა № 14, გამოსვენება მოხდება კვირას, დილის 9 საათზე, 27 მაისს, დაკრძალვა წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

709—1—1

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე დავით მიქაძე, მამა რევაზ და მარიამ გოგიაშვილები შვილებით აცნობებენ მეგობრებს და ნაცნობებს მათი უძვირფასესი

## ელენე მიქაძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 27 მაისს, დილის 11 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ ბინიდან ვერის სასაფლაოზე. მისამართი: პან სიტჩის ქ. № 36, მეორე კომისარიატი.

ს. ს. ს. რ. ჯ. ს. კ.

## მთავარი საკურორტო სამმართველო

**ამით აცხადებს იმ ავადმყოფთა საყურადღებოთ, რომელთაც სურთ მათი ჯანმრთელობის გამო იქნენ გაგზავნილი სახელმწიფო კურორტებზედ, რომ ამა 1923 წლის 28 მაისის დილის 10 საათიდან სასანიტარო საკურორტო გადამრჩევი კომისია იწყებს მუშაობას რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის საავადმყოფო) ამბულატორიის შენობაში (პლეხანოვის პროსპ.). განცხადებები რაიონის ექიმის ავადმყოფობის მოწმობით, ადგილკომისა და პროფკავშირების უნდა იქნენ წარმოდგენილი 25 მაისიდან არა უგვიანეს 5 ივნისის.**

**ორშაბათს, 28 მაისს გამოცხადდებიან შესამოწმებლად ის პირნი, რომელთა გვარიც იწყება ანბანით ა, ბ, გ, დ, და სხვა დამატებითი განცხადებები გამოცხადებული იქნება კომისიის შენობაში.**

(კრ. 416—3—1)

განათლების სახალხო კომისარიატის მთავარ პროფგანათლების მუშათა ფაკულტეტების სექტორის გამგებლობაში მყოფი

## ი. ფ. პალატნიკოვის

ბუხჰალტერიის პრაქტიკული კურსები პლეხანოვის პრ. № 132.

სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.

(15—8) კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

# ტფილისის აღმასკომის
# სააღგილ-მამულო განყოფ.

აძლევს იჯარით 1923 წლ. ხილის მოსავალს რიცხვით 1440 საადრევო საუკეთესო ხეებს: (ბალი, ალუბალი, ატამი, ჭერამი, ქლიავი, ალუჩა, მსხალი, ნუში, ლეღვი, კომში, კაკალი და სხვა), ეოფილ მანთაშევის მამულში, მდებარე ვარანცოვის ქუჩაზე № 125.

პირობების გაგება შეიძლება განყოფ. კანცელარიაში აღმასკომის შენობა, ოთახი № 52, მამულში კი მამულების გამგესთან. საჯარო ვაჭრობა დანიშნულია კვირას, 27 მაისს, 10 საათზე მამულში.

კრ. 413 3—2

**საადგილ მამულო განყოფილება.**

# ტფ. საქონლის და საფონდო
# ბირჟა

რომელიც დროებით იყო დახურული ყველა ანგარიშების ოქროს მანეთიანიდან ჩერვონცებზე გადაყვანის გამო,

## ანახლებს თავის მოქმედებას
## დღეს, 26 მაისს.

**საბირჟო კრებები ხდება ჩვეულებრივ დროს,**

ე. ი. საფონდო და სავალიუტო ოპერაციების 11-დან 12 ს.
საქონლის „ 11-დან 1 ს.

ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარი **ნ. თუმანოვი.**
ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარე **კ. ჩხენკელი.**

კრ. 417 1—1

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის

## ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. გაზტრესტი), **რუსთაველის პროსპ. № 26.** ტელეფ. № 5—43.

ივნისის თვეში გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები შინ მიტანით:

| | |
|---|---|
| საერთო ხელის მოწერა | 1.250.000 |
| კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის | 800.000 |
| ერთი ეგზემპლიარი | 50.000 |

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 1 ივნისამდის შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება.

6—3

# Центральная Контора Партийно-Советской прессы Грузии.

(бывший Газтрест), просп. Руставели № 26.

**доводит до всеобщего сведения, что принимается подписка на все**

**Московские и Петроградские газеты и журналы**

с доставкой на дом. Контора наладила вполне прочную и систематическую связь с Москвой и она ручается за своевременную и аккуратную доставку газет и журналов. Все газеты и журналы в розницу требовать ежедневно от газетчиков г. Тифлиса.

6—3

## ამა წლის 28 მაისიდან
## თბილისის ქალაქის სასაკლაოებში

(ნავთლუღში) დაიწყება **დამუშავება და [illegible]** საჭიროა რომ ყინულის მიღების მსურველებმა წინდაწინვე მისცენ განცხადება სასაკლაოების დირექტორს. საჭიროა, რომ ყინულის მიღების დაწყებისას შემოტანილ იქნას სამი დღის საჭიროების ყინულის ფასი, შემდეგ კი ფასი უნდა იყოს გადახდილი ყოველ დღე ყინულის წაღებისას. პირველ რიგში დაკმაყოფილებულ იქნებიან: საავადმყოფოები, მეორე რიგში სახელმწიფო დაწესებულებანი და მესამე რიგში კერძო პირნი.

პირობების გაგება, ყინულის გაცემის შესახებ, შეიძლება მიღებულ იქნას სასაკლაოების კანტორაში (ტელ. № 17-94 და 8-66).

411 (3—3)

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული მთავარი საკურორტო სამმართველო

## საექიმო-სანიტარული განყოფილება

**ამით უწყებს პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობებს და საბჭოთა დაწესებულებებს, რომლებმაც საქართველოს კურორტებზე სახელმწიფო საწოლი ადგილები მიიღეს პროფკავშირთა საბჭოს განაწილების ცხრილით, რომ განცხადებათა მიღება იმ ავადმყოფებისაგან, რომლებიც საჭიროებენ სანატორიუმებში და კურორტებში ექიმობას, გადამრჩევი კომისიის მიერ დაიწყება 25 მაისიდან რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფოს ამბულატორიის შენობაში (პლეხანოვის ქ. № 64), განცხადებასთან დართული უნდა იყოს შემდეგი საბუთები: მოწმობა იმ რაიონის ამბულატორიის ექიმის, სადაც ცხოვრობს ავადმყოფი ან მოწმობა ექიმის იმ დაწესებულების, სადაც ავადმყოფი მუშაობს.**

ტ—11. კრ. 418—1—1

**ელექტრონის და სინათლის**

## სამკურნალო

**საწოლებით რენტგენი დარსონვალი**

**მიხეილ გედევანიშვილის** სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, კორღანოვის ქ. № 20. (501—25—10)

**ქ. თბილისის 1 რაიონის სახალხო მოსამართლე**

იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ ილია ისაკის ძე ხოსიტოვის დარჩენილ ქონებაზე, რათა განაცხადონ თავიანთი უფლება ორი თვის ვადაში.

713—1—1

**დაიკარგა** ხელოსნების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 72, ბარბარე სარიკიძის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

707—1—1

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა № 3208, გაცემული რკინის გზის მილიციის სამმართველოს მიერ ნინო ნესტორის ასულის ნინუას სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

710—1—1

# ა. კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში

აცხადებს საყოველთაო ცნობად, რომ ის პირნი, რომელნიც ჩამოთვლილი არიან ქვემოდ მოყვანილ განაწერში, მოვალენი არიან აიღონ პირად საქმიანობის სასარეწაო მოწმობები მიმდინარე 1923 წლის პირველ ნახევრისათვის.

| განაწერის მუხლები | ხარისხი სასარეწაო მოწმობისა | აღნუსხვა პირადი სასარეწაო საქმიანობისა, რომლებზეც იხდიან სასარეწაო გადასახადს. |
|---|---|---|
| 1 | I | ის პირნი, რომლებიც ეწევიან ხელობას ან წარმოებას საზოგადო სასარგებლო ადგილებზე (ქუჩებზე, მოედნებზე, ბაზრებში და ბაღებში), აგრეთვე მონტიორები და სხვანი, მოძრავ მრეწველნი, რომელნიც ხმარობენ სხვა და სხვა იარაღებს,—მაგალითად: დანების გამლესავნი, შუშების ჩამსმელნი და სხვ... |
| 2 | I | ის პირნი, რომელნიც ასრულებენ სავაჭრო წარმოებებში არა უმაღლეს მე-III ხარისხისა და სამრეწველოებში არა უმეტეს V ხარისხისა და აგრეთვე ამავე დაწესებულებათა კანტორების მოსამსახურეთა მოვალეობას მაგ.: ნოქარნი, მოანგარიშენი, კანტორშჩიკები, გამყიდველნი, ტაბელშჩიკები, ტეხნიკოსები და სხვ... გარდა გადამწერებისა მემანქანეთა, დამტარებლებისა, ყუთებში ჩამწყობებისა, მზიდველებისა, დამლაგებლებისა, დარაჯებისა, მუშებისა და სხვ... რომელნიც ასრულებენ წმინდა მექანიკურ სამუშაოს. |
| 3 | II | ის პირნი, რომელნიც ასრულებენ მეორე მუხლში აღნიშნულ მოსამსახურეთა თანამდებობას, დანარჩენ უმაღლეს ხარისხების სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში და რომელნიც მსახურობენ იმავე დაწესებულებათა კონტორებში. |
| 4 | III | ის პირნი, რომელნიც განაგებენ სავაჭრო დაწესებულებებს არა უმაღლეს მე-3 ხარისხისა და სამრეწველო დაწესებულებებს არა უმაღლეს მე-5 ხარისხისა და სამრეწველოების განყოფილებებს უმაღლესი ხარისხისას (გარდა პატრონისა ან ერთი რომელიმე თანამეპატრონისა) |
| 5 | IV | ის პირნი, რომლებიც განაგებენ უმაღლესი (იხ. მ. 4). ხარისხის საწარმოო დარგების გამგეების და აგრეთვე ისინი, რომელნიც ასრულებენ ამავე დაწესებულებებში გამგის თანაშემწეების, მთავარი ბუღალტერის, კონტროლიორის, ინჟენერების, უფროსი ტეხნიკოსების, მუდმივი იურისკონსულტების, კონსულტანტების და სხვ. უმაღლეს მოსამსახურეთა მოვალეობას, გარდა პატრონისა და არ-და მოზიარეებისა. |
| 6 | III | პირველი საფეხურების კოოპერატივების და აგრეთვე არტელების გამგეობის წევრნი და გამგენი, რომელნიც იღებენ ჯამაგირს. |
| 7 | V | ის პირნი, რომელნიც შედიან გამგეობაში და საბჭოებში, და აგრეთვე დირექტორები, გამწესრიგებელნი და რწმუნებულნი კოოპერატივების კავშირებში, ტრესტებში და სინდიკატებში, სააქციონერო საზოგადოებებში, საპაიო ამხანაგობებში, საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებებში და ბანკებში. |
| 8 | III | ის პირნი, რომლებიც პირადათ ასრულებენ დაკვეთის და დავალების სახით სამუშაოს, რომელიც თხოულობს სპეციალურ ცოდნას და მოწესრიგებას, როგორიც არიან მაგალითად: კბილის ტეხნიკოსები, მხაზავნი, გეგმის შემდგენელნი და სხვ. |
| 9 | V | სხვა და სხვა შუამავალნი: აგენტები, კომისიონერები, ექსპედიტორები, ბირჟის მაკლერები და სხვანი, რომელთაც არ ყავთ მოსამსახურე და არა აქვთ კანტორა, და აგრეთვე ინსპექტორები და აგენტები კერძო საკრედიტო და დამზღვევ დაწესებულებისა და მოსიარულე ნოქრები, რომელნიც ვაჭრობენ ნიმუშების მიხედვით. |
| 10 | IV | ის პირნი, რომელნიც ეწევიან ხელობის სახით რაიმე თავისუფალ პროფესიას:<br>ა) ექიმები, კბილის ექიმები, ბეითლები, ხუროთ-მოძღვარნი, ინჟენერები და უფლების დამცველთა კოლეგიის წევრები.<br>ბ) ბებია-ქალები, მასაჟის გამკეთებელნი, მსახიობნი და მემუსიკენი.<br>**შენიშვნა 1-ლი:** ის პირნი, რომლებიც მოხსენებული არიან მე-10 მ. 3. „ა“ და „ბ“ აბზაცში, რომელნიც თავის სპეციალურ ხელობას ასრულებენ რომელიმე დაწესებულებაში და განსაზღვრულ ჯამაგირს იღებენ გაწერის ამ მუხლით სასარეწაო მოწმობას არ იღებენ, თუ ამ ჯამაგირს გარდა არა აქვთ ამავე მუხლით გათვალისწინებული გარეშე შემოსავალი.<br>**შენიშვნა მე-2:** ყველა სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გამგეობის წევრები ან სხვა მოსამსახურენი განთავისუფლებულნი არიან პირად სასარეწაო გადასახადიდან არა უმეტეს სამი პირისა თვითეულ კოოპერატივში ან ამ კოოპერატივთა გაერთიანებაში<br>**შენიშვნა მე 3:** სასარეწაო მოწმობის ფასი პირად საქმიანობაზე სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში მოსამსახურეთათვის შემცირებულია იმდენივე პროცენტით, რამდენითაც შემცირებულია სასარეწაო გადასახადი თვით დაწესებულებებზე. |

**ღირებულება სასარეწაო მოწმობებისა პირად სასარეწაო საქმიანობისათვის 1923 წლის პირველ ნახევარში ზოლის მიხედვით.**

| ხარისხები | ზ ო ლ ე ბ ი | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| I | 1.000 000 | 840.000 | 700 000 | 500 000 | 340 000 |
| II | 1.500 000 | 1.200 000 | 1 000.000 | 760 000 | 500 000 |
| III | 3.600.000 | 3.000.000 | 2.400 000 | 1 800.000 | 1 200.000 |
| IV | 4 500.000 | 3 600.000 | 2 700 000 | 2 240.000 | 1 500.000 |
| V | 15 000 000 | 11 500 000 | 10.000 000 | 7 500.000 | 5.000 000 |

სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სავაჭრო წარმოებანი და დაწესებულებანი, სახელმწიფო ტრესტები და სინდიკატები, საკრედიტო დაწესებულებანი, სააქციონერო და შერეული საზოგადოებანი, კოოპერატივები და კოოპერატივთა კავშირები და სხვანი იხდიან სასარეწაო გადასახადს პირად საქმიანობაზე, სასარეწაო მოწმობის აუღებლად, ამისათვის ხაზინაში შესატან გადასახადის ჯამის რაოდენობის შესახებ განცხადებასთან დართული უნდა იქნას მოსამსახურეთა სია მათი სახელის, მამის სახელის, გვარების, თანამდებობის, ასაღები სასარეწაო მოწმობის ხარისხის, ძირითადი გადასახადის ჯამის, ქალაქის აღმასკომის სასარგებლოთ დამატებითი გადასახადის და [illegible] ჯამის აღნიშვნით; აღნიშნული სიების მეორე ცალი ხაზინის ქვითარის №-ის და იარაღის აღნიშვნით გამოკრული უნდა იქნას მთავარ კანტორაში და ყველა განყოფილებებში.

პირად საქმიანობაზე სასარეწაო მოწმობის არ აღებისათვის დაწესებულია ჯარიმა: 1) ორმაგ რაოდენობით იმ დაწესებულებებისა და წარმოების პატრონებისათვის, სადაც განაწერში აღნიშნული პირები მსახურებენ და 2) ხუთმაგ რაოდენობით თავისუფალი პროფესიის მქონე პირებისათვის და იმათთვის, ვინც პირად სასარეწაო საქმიანობას ეწევა.

**ა. კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში: ბ. ბიბინეიშვილი.**

კრ. 415 1—1

**საგადასახადო განყოფილების გამგის მოადგილე: ბეჟირბანიშვილი.**